852/13.329

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   სამშაბათი, 2 აპრილი   1996 № 25 (250)   ფასი 40 თეთრი

## ზუგდიდში მიმავალ ბოლნისს მცხეთაში ავტობუსი გაუფუჭდა. საქმეს ფედერაცია გაურჩევს

### შევარდენი 2-0 ეგრისი

შევარდენი: აბუსერიძე, ალადაშვილი, ქველაძე, კეიტატიანი, გოგოლაძე, მელქაძე, კანკავა (მინდიაშვილი 46), ჯიქია, გოდერძიშვილი, დათუაძე, ნიტეიშვილი (ქოიავა 85)

ეგრისი: ბულია, ჯღარკავა (გ. მიქავა 46), ნაჭყებია, ბენდელიანი, აბალაია, ნოდია, ფიფია, ნულაია, თორია, თვარაძე (ა. მიქავა 78), დანელია

1:0 გოდერძიშვილი (35). 2:0 გოგოლიძე (65

გაფრთხილება: კეიტატიანი

მსაჯი: გ. ასკაროლლი

თამაშს საინტერესო ნამდვილად არ ეთქმოდა. ფეხბურთელები მოედანზე ზანტად ირჯებოდნენ. „შავარდენს" ბევრჯერ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ თბილისელებმა მხოლოდ ორჯერ მოახერხეს „მიძინებული" ტრიბუნების გამოცოცხლება. პირველად მეტოქის კარი გოდერძიშვილმა აიღო 35-ე წუთზე, ხოლო მეორედ, 65-ე წუთზე – თავდამსხმელთა და[illegible]ად მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა გოგოლაძემ. მხოლოდ ორ გოლს რომ დასჯერდნენ, მასპინძლებმა თავიანთ უნიათობას და სენაკელთა მეკარეს, ზაალ ბულიას უნდა დააბრალონ. „შევარდენს" თავი ქუდში აქვს. ჯერჯერობით გულარხეინად შეიძლება იყოს, რადგან გავარდნა არ ემუქრება და სახიფათო ზონასაც საკმაოდ დაცილებულია. სანამ „გურია" და „სიონი" აგებს, მაგრამ „ეგრისსაც" შეუძლია მშვიდად იყოს, მაგრამ მხოლოდ ღმერთის იმედზე ყოფნა სენაკელ ფეხბურთელებს შორს ვერ წაიყვანს.

### მეტალურგი 3-0 გურია

მეტალურგი: დოლიძე, ფოფხაძე, სილაგაძე, არჩვაძე (მელაძე 46), თევზაძე, ტარტარაშვილი (ბუცურეიშვილი 78), ზირაქიშვილი, ჩალაძე (კედელაშვილი 76), პერტია, პატარიძე, ალადაშვილი

გურია: აბაშიძე, ლურწკაია, ცერცვაძე, კუპულაძე, ყოლბაია, ებრალიძე, ჩიგოვაძე, გაწევი, ქიქავა, ბახტაძე (ნარიაშვილი 46), მარგიანი (ლორია 46)

1:0 ზირაქიშვილი (22), 2:0 პატარაძე (66). 3:0 ალადაშვილი (76)

შ. ხანიაშვილი (თბილისი)

„მეტალურგმა" ამჯერად ეროვნულ სტადიონზე ითამაშა. თავიდან „გურია" მედგრად იდგა, მაგრამ რუსთაველთა გამოცდილებამ თავისი გაიტანა, თანაც, მათ რიგებში ბევრად მეტი კარგი ფეხბურთელებია. ანგარიში 22-ე წუთზე ზირაქიშვილმა გახსნა. ბურთი ლამაზი ტრაექტორიით ჩაეშვა აბაშიძის კარის მარცხენა ცხრიანში. მეორე ტაიმში პატარიძემ თაურით მეორედ გაამწარა ლანჩხუთელთა ნორჩი მეკარე. მესამედ ალადაშვილმა იკარგა — მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში შეჭრილმა მოჭრილი დარტყმით მესამე გოლი გაიტანა. ამ მოგებით რუსთაველები მტკიცედ დამკვიდრდნენ მეოთხე პოზიციაზე და უახლოეს მდევარს ოთხი ქულით გაუსწრეს.

### დილა 5-0 კახეთი

დილა: სოლოლაშვილი, ხ. გაგნიძე, ლომიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხაჭაპურიძე (წკრიალაშვილი 80), ტაბატაძე (კაიდარაშვილი 60), ციცქიშვილი (მარუხაშვილი 46), მარლიშვილი, ხორგუაშვილი, რევაზიშვილი

კახეთი: ხაჩირაშვილი, მონია, ათუაშვილი, ნიკლაური, ქააძე, მალამბერიძე (გაგნაშვილი 70), ლობჟანიძე ჯაშიაშვილი, სოლოლაშვილი (ტარულაშვილი 75), ბაბულაიძე (მამისაშვილი 70), ლვინიაშვილი

1:0 ხორგუაშვილი (5) 2:0 ტაბატაძე (37) 3:0 მარუხაშვილი (75) 4:0 კაიდარაშვილი (80) 5:0 ხორგუაშვილი (25)

გაფრთხილება: ციცქიშვილ, ნიკლაური

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

„დილამ" გოლების გატანით გული იჯერა. მასპინძლებმა სტუმრების დარბევა მეხუთე წუთიდან დაიწყეს. გოლი ხორგუაშვილმა გაიტანა. მას შემდეგ გორელებმა კიდევ ოთხჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი და გულიც დაიარხეინეს.

### ზუგდიდი - სიონი

ზუგდიდში თამაში არ ჩატარებულა. საქმე ისაა, რომ სამეგრელოს გამგზავრებულ ბოლნისელებს მცხეთაში ავტობუსი გაფუჭებიათ. ბუნებრივია, თამაშსაც ვერ ჩაუსწრებდნენ. აღნიშნულ საკითხს ფეხბურთის ფედერაციაში განიხილავენ და შესაბამის განაჩენსაც გამოიტანენ.

### ბათუმი 1-3 დინამო

ბათუმი: ტოგონიძე, შანიძე, ღლონტი (კანტიძე 71), მუჯირი, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში, უჯმაჯურიძე, მინდაძე

დინამო: ზოიძე, კალაძე, კობიაშვიილ, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ყიზილაშვილი (დემეტრაძე 80), კერძევაძე, ანჩაბაძე, იაშვილი (ხომერიკი 75)

1:0 უჯმაჯურიძე (34) 1:1 ყიზილაშვილი (58) 1:2 ანჩაბაძე (77) 1:3 გოგიჩაიშვილი (80)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

თავდაპირველად „ბათუმი" დაწინაურდა უჯმაჯურიძის გოლის წყალობით მეტად დაძაბულ პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა. მეორეში „დინამომ" ტემპს მოუმატა და წარმატებასაც სამჯერ მიაღწია. ჯერ ყიზილაშვილმა და ანჩაბაძემ დააწინაურეს თბილისელები. მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კი ანჩაბაძის საჯარიმოში წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გოგიჩაიშვილმა გამოიყენა.

### კოლხეთი 0-2 სამტრედია

კოლხეთი: გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩაია, ხუჯაძე, არზიანი, ქობელაძე, კიკლიაშვილი, ტორჩინავა (ღლანიძე 46), გიორგაძე, გაბისონია, ამბიძე

სამტრედია: დოლაბერიძე, ხვადაგიანი, ლურსმანაშვილი, ჯელაძე, ფანჩულაძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ხუჭუა, გვასალია, დარასელია (ჩომახიძე 82), ჩხაიძე

0:1, 0:2 ამაშუკელი (65, 783)

გაფრთხილება: კიკლიაშვილი

მსაჯი: თ. ლაცაბიძე

„სამტრედიამ" ამ გამარჯვებით ჩემპიონატს მეტი დაძაბულობა შესძინა. ალბათ ჩემპიონი ის გახდება, ვისაც უფრო მტკიცე ნერვები და ნებისყოფა შემორჩა. ამ მატჩში სტუმრებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს. ანგარიში პირველ ტაიმშივე შეიძლებოდა გახსნილიყო, მაგრამ სტუმართა თავდამსხმელები სცოდავდნენ. მეორე ნახევარში სამტრედიელთა ნახევარმცველმა ბესო ამაშუკელმა გამოიჩინა თავი: მან ჯერ თავად გაიტანა გოლი, ცოტა ხანში კი გვასალიას მოცელისათვის დანიშნული თერთმეტმეტრიანიც გამოიყენა. „კოლხეთის" მცდელობას თამაშში კორექტივები შეეტანა, შედეგი არ მოჰყოლია. გუნდი მეხუთე ადგილზე კი დარჩა, მაგრამ მდევრები — „ბათუმი" და „ტორპედო" წამოეწივნენ და ქულათა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. თუ ფოთელები არ დაფაცურდებიან, სატურნო ცხრილში კიდევ ჩამოქვეითება მოუწევთ.

### მარგვეთი 3:0 ივერია

### ტორპედო 2:0 დურუჯი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 14 | 4 | 1 | 57-10 | 46 |
| სამტრედია | 19 | 14 | 4 | 1 | 61-21 | 46 |
| მარგვეთი | 19 | 14 | 1 | 4 | 54-17 | 43 |
| მეტალურგი | 19 | 14 | 0 | 5 | 42-20 | 42 |
| კოლხეთი | 19 | 12 | 2 | 5 | 42-29 | 38 |
| ბათუმი | 19 | 11 | 4 | 4 | 45-18 | 37 |
| ტორპედო | 19 | 11 | 4 | 4 | 42-25 | 37 |
| დილა | 19 | 9 | 4 | 6 | 35-28 | 31 |
| შევარდენი | 19 | 7 | 2 | 10 | 27-33 | 23 |
| ზუგდიდი | 18 | 6 | 1 | 11 | 28-44 | 19 |
| კახეთი | 19 | 5 | 3 | 11 | 17-42 | 18 |
| ივერია | 19 | 5 | 2 | 12 | 18-37 | 17 |
| ეგრისი | 19 | 4 | 2 | 13 | 29-46 | 14 |
| სიონი | 18 | 4 | 0 | 14 | 15-36 | 12 |
| გურია | 19 | 4 | 0 | 15 | 15-50 | 12 |
| დურუჯი | 19 | 0 | 1 | 18 | 5-76 | 1 |




## ორი მანჩესტერელი: ფრანგი და ქართველი საუკეთესონი არიან

**„იუნაიტედის" 7 ნომერი ერიკ კანტონა და „სიტის" 7 ნომერი გიორგი ქინქლაძე ინგლისის საუკეთესო ლეგიონერებად აღიარეს. მორიგ ტურში ამათი გუნდები ერთურთს ხვდებიან...**

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი თავდამსხმელი ერიკ კანტონა სეზონის საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელად ინგლისელმა ტელემაყურებლებმა დაასახელეს. ეს გამოკითხვა სხვაა, სალაღობოა, სეზონის „ნაღდი" საუკეთესო კი ინგლისელებს ჯერ არ აურჩევიათ. ამას საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ტიტულის მოპოვების აშკარა შანსი გიორგი ქინქლაძეს აქვს. ტელემაყურებელთა ზემოაღნიშნულ რეფერენდუმშიც გიო კანტონას მხოლოდ ოთხი პროცენტით (27 31-ზე) ჩამორჩა. თავისთავად ესეც ბრწყინვალე შედეგია. ფრანგი ფორვარდი ხომ ინგლისში ისედაც სახელგანთქმულია და თან ბოლო მატჩებში ბრწყინვალედ თამაშობს. თავის გუნდს, რომელიც ჩემპიონის ტიტულისათვის იბრძვის, კანტონამ წინა ხუთ შეხვედრაში ვეებერთელა ამაგი დასდო – ხუთივეში გადამწყვეტი გოლი გაიტანა. გიოს „სიტი" კი „იუნაიტედთან" შედარებით სუსტია და სულ სხვა პრობლემებსაა შეჭიდებული. ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლა დღითიდღე მწვავდება – შაბათს „მანჩესტერ სიტიმ" ბოლტონში ითამაშა. „ბოლტონი", მოგეხსენებათ, ბოლო ჟამს კარგ ფორმაშია და წინა ტურის შემდეგ ბოლოსწინა ადგილზეც აბობღდა. ანგარიში „სიტის" ფორვარდმა ნეილ ქუინმა მე-2 წუთზე გახსნა. პირველი ტაიმი ასეც დამთავრდა. მეორეში, 74-ზე მასპინძლებმა გაქვითეს და წაგებას გადარჩნენ. ქინქლაძემ ჩვეულად, კარგად ითამაშა. ტელევიზიით შეხვედრის რეპორტაჟი ცნობილ გარი ლინეკერს მიჰყავდა, რომელმაც მისი დამთავრების შემდეგ გიოს ყველა გარღვევა საგანგებოდ შეაქუჩა, ცალკე გამოჰყო და კომენტარიც მიაყოლა. ლინეკერის კომენტარის სმენა ქინქის ქომაგებისთვის მეტად სასიამოვნო იყო.

ყაველაშვილს არ უთამაშია, სათადარიგოთა შორის კი იყო.

რაც შეეხება გიოს „ბარსელონასა" ან „ინტერში" გადასვლას, ამაზე ლაპარაკს თავად... ფრენსის ლიმ მოუღო ბოლო. გაზეთ „დეილი ტელეგრაფისთვის" მიცემულ ინტერვიუში „სიტის" პრეზიდენტმა თქვა: ქინქლაძის ყიდვა ბევრს სურს და მის გარშემო დიდი ჭუჭყიანი თამაშიც მიდის, ამიტომ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ქართველი არ იყიდება.

თავად გიომ შუა კვირას ადგილობრივ ჟურნალისტებს უთხრა, რომ „სიტისთან" სამწლიანი კონტრაქტი აქვს და წასვლას არსად აპირებს.

დავით მჭედლიშვილი
ლონდონიდან

## კაქტუსი - ვეღარ იჩხვლიტება

მცირე შესვენების შემდეგ ვერის ბაღში ქვეყნის საკალათბურთო ჩემპიონატი განახლდა. დაიწყო გაერთიანებული ტური, რომელშიც ჯერჯერობით, უცნობ მიზეზთა გამო არ (ან ვერ) მონაწილეობს „კაქტუსი". დებულებით, ორ თამაშზე გამოუცხადებლობის გამო გუნდი გათამაშებიდან უნდა მოიხსნას, თუმცა ამჯერად სიტუაცია საგანგებოა და ალბათ კალათბურთის ფედერაცია ამ საკითხს დამატებით განიხილავს.

## „ტიტებმა" ჩეხებსაც მოუგეს

შაბათს, 30 მარტს, პრაღის მახლობლად, ჟიჩანში, ჩეხეთმა ფირა-ს პირველობის მატჩი 3:26 წააგო ჰოლანდიასთან.

ჩეხების შემდეგი მეტოქე საქართველო. ეს თამაში ქუთაისში წითელ პარასკევს, 12 აპრილს გაიმართება და დღის 4 საათზე დაიწყება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 101:26 | 5 |
| საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 17:58 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 31:31 | 2 |
| დანია | 2 | 0 | 1 | 1 | 20:20 | 0 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 20:54 | 0 |

### საზოგადო გაზეთებისა და ტელე-არხების სპორტული რედაქტორების საყურადღებოდ!

საქართველოს რაგბის კავშირი შაბათს, 6 აპრილს, დღის 1 საათზე, თავის ახალ ოფისში (სპორტის დეპარტამენტის შენობის მარცხენა ფრთა, მესამე სართული) აწყობს 1996 წლის სარაგბო

### სეზონის პრეზენტაციას

სტუმარ ჟურნალისტებს შეხვდებიან რაგბის კავშირის ხელმძღვანელები და ეროვნული ნაკრების მწვრთნელები და მოწინავე მოთამაშეები. სტუმრებს მუქთად ჩამოურიგდებათ წიგნაკად გამოცემული საინფორმაციო პაკეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აგენს კარგი გუნდი გოუკეთებიათო...

ლანჩხუთში დაშლის პირას მისულ „გურიას" მოულოდნელად, მეორე წრის წინ, მხსნელები მოევლინნენ და გასავარდნად განწირულმა გუნდმა მეორე წრის სტარტზე სამიდან ორი მატჩი მოიგო, თანაც ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებთან — „ბათუმთან" და „ტორპედოსთან". ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, თუ ასე გაგრძელდა, „გურია" დარჩება კი არა, იქნებ ათეულშიაც შევიდეს. გუნდის ხელმძღვანელებს ბოლოს თვენახევრის წინ ვესაუბრე, მანამდე, სანამ იმ ორ თამაშს მოიგებდნენ. როგორც აღმოჩნდა, იღბლიან სტარტს ისინი იმდენად იმედიანად განეწყვია, რომ ახალი სეზონიდან უკვე მეტად სერიოზულ მიზნებზე ფიქრობენ.

ვინ იყო ევგრაფი შევარდნაძე „გურიასათვის", ალბათ ახსნა არ უნდა. გუნდის დირექტორატის წევრი, ლანჩხუთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გელა ფირცხალაიშვილი ბატონი ევგრაფის სიძე გახლავთ. გელა სწორედ ის კაცია, დასალუპად განწირულ „გურიას" მხარში რომ ამოუდგა. ამგვარი ხალხი დღეს ჰაერივით საჭიროა ქართულ ფეხბურთში და რომელ ქალაქსაც მსგავსი ენთუზიასტები და ფანატიკოსები არა ჰყავს, იქ ფეხბურთის საქმე ცუდადაა.

**— ბატონო გელა, ფეხბურთი არასდროს გითამაშიათ და „გურია" რომ გურიობდა, არც მაშინ ჩანდით ფეხბურთში. ახლა რაღამ გადაგადმევინათ ეს ნაბიჯი?**

— „გურიას" უნიკალური ისტორია აქვს. საქმე ისაა, გაჭირვებაში დაეხმარო გუნდს, თორემ როცა ულხინდა, მაშინ იმდენი ხალხი ეხვია გარს, ახლა რომ იმის მეათედი ეხმარებოდეს, რაღა გვიჭირს...

**— წელს ისეა საქმე, ჯგუფში დარჩენა არ უნდა გაგიჭირდეთ. მერე რას გეგმავთ?**

— ახლა ისეთი პირი უჩანს, ქვეყანა დაწყნარდა და აღმშენებლობაც დაიწყო. ეს ყველაფერი ფეხბურთის წისქვილზე ასხამს წყალს. თუ მაისში, როგორც დაგეგმილია, ლანჩხუთში ნავთობის ტერმინალის მშენებლობაც დაიწყო, მაშინ მართლა აშენდება ჩვენი საქმე. რაც შეეხება თქვენს კითხვას, პირდაპირ გიპასუხებთ — ახალ სეზონში ევროთასების საგზურისთვის ვიბრძოლებთ.

**— დავუშვათ და მოხდა სასწაული — „გურიამ" შემდეგ ჩემპიონატში მართლაც მოიპოვა საგზური. განა მზადაა ამისათვის ლანჩხუთი?**

— სტადიონს რაც შეეხება, ფაქტიურად სრულ წესრიგშია. მხოლოდ კოსმეტიკური შელამაზება აკლია, სალებავს კი რა შოვნა უნდა? სხვა პატარ-პატარა ხარვეზებსაც ამოვფხვრით. ბაზა ახლა იმ დონეზე ვერ არის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დროს რომ იყო, მაგრამ გუნდმა რომ შეკრება გაიაროს, სავსებით შესაძლებელია. ყველაზე რთულად სასტუმროს საკითხი იქნება. მაგრამ, იცი რა გითხრათ, ევროთასების საგზური თუ მოვიპოვეთ, განა რაიმე პრობლემა დაგვრჩება გადაუჭრელი?

რაც შეეხება თქვენს მიერ ზემოთხსენებულ სასწაულს, მე პირადად სულაც არ ჩავთვლი სასწაულად, თუკი „გურია" ევროთასების საგზურს მოიპოვებს. სასწაული უკვე მოხდა, გუნდი დაშლას გადაურჩა და მეორე წრის სტარტზე ლიდერებთან ექვსი ქულა აიღო. ასე რომ, თუ ეს ამბავი მოხდა, აღარ გამიკვირდება.

**— ხალხი თუ დაუბრუნდა სტადიონს?**

— სტადიონი რომ ივსებოდა, იმ დრომდე ბევრი გვაკლია, მაგრამ ლანჩხუთში „ბათუმთან" მოგების შემდეგ ხმა დაირხა: „აგენს მართლა კარგი გუნდი გაუკეთებიათო" და ხალხმაც ნელ-ნელა იბრუნა პირი სტადიონისკენ. მეორე საშინაო თამაშზე, „ტორპედოსთან", უკვე ორიათასამდე გულშემატკივარი გვიჭერდა მხარს და გოლი რომ შევაგდეთ, მაშინ უნდა გენახათ — ატყდა ერთი წივილ-კივილი, მანქანების სირენებიც ჩართეს — მოკლედ, როგორც „იმ" დიდი გუნდის დროს იყო.

**— გაგიმართლათ ბეგი სიხარულიძეში...**

— ბეგისთანა ფეხბურთზე თავდადებული კაცი იშვიათია. მზადაა ფეხბურთელებს ათასჯერ აუხსნას ერთი და იგივე. ამ ათი წლის განმავლობაში, ფეხბურთს რომ ჩამოშორებული იყო, გული მაინც არ აუყრია — თავისთვის კონსპექტებს აკეთებდა და თამაშსაც არ აცდენდა.

**— არ გეშინიათ, ენთუზიაზმი მალე რომ გაგიქრეთ?**

— უკვე მარტონი აღარ ვართ. ჰოლდინგური კომპანია „საქნავთობის" პრეზიდენტმა თამაზ შავდათუაშვილმა მეორე წრის წინ დიდი დახმარება გაგვიწია, გულშემატკივართათვის კარგად ცნობილმა, „გურიას" ყოფილმა მწვრთნელმა შალვა კაკაბაძემ კვების პრობლემა გადაგვიჭრა. იმედი მაქვს, მალე მხარში სხვა ლანჩხუთელებიც ამოგვიდგებიან და ახლა რომ სასწაულად თვლით „გურიას" გასვლას ევროთასებზე, სერიოზული მუშაობის შემდეგ აღმოჩნდება, რომ სულაც არ ყოფილა სასწაული...

ბეგი სიხარულიძემ მართლა შეუძლებელი შეძლო. ლიდერებთან მოგების შემდეგ მწვრთნელსაც და გუნდსაც რწმენა ჩაესახათ და უშუალო კონკურენტებთან შეხვედრის წინ მეტად იმედიანად არიან.

**— ბატონო ბეგი, ელოდით ასეთ დასაწყისს?**

— რა თქმა უნდა. თუ საქმეს მთელი გულით მოეკიდები და თავს არ დაზოგავ, გაწეული მუშაობა ფუჭად არ ჩაივლის. შედეგი ალბათ კიდევ უკეთესი იქნებოდა, სეზონი რომ იმ ფეხბურთელებით დამეწყო, ვინც შეკრებაზე მყავდა. მოხდა ისე, რომ ანჯაფარიძე, თურმანიძე, ნიკოლეიშვილი და მეკარე ვოლკოვი მეორე წრის წინ განაცხადში ვერ შევიყვანე: ზოგი გუნდმა არ გამოუშვა, ზოგიც სხვა მიზეზის გამო ვერ მოხვდა ჩვენთან. არადა, ამ ფეხბურთელებმა მოსამზადებელი ციკლი „გურიაში" გაიარეს და მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ახლა სულ ახალგაზრდა ბიჭები გვყავს, გუნდის წევრთა თითქმის ნახევარი 1978 წელს დაბადებულნი არიან. კარგად შეეწყვნენ გუნდს ბათუმელი ბახტაძე და თბილისელი მარგიანი, რომელმაც სამ თამაშში ორი გოლი გაიტანა და ჩვენთვის ასე საჭირო ქულები მოგვიტანა. ასევე ვანდე ძირითადის მაისური 17 წლის ებრალიძეს და მეკარე ლევან აბაშიძეს, რომელიც ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, საკმაოდ კარგად დგას კარში. მგონი, ჩინებული მეკარე დადგება.

**— ახალი სეზონიდან თქვენც რეალურად მიგაჩნიათ ევროთასებისთვის ბრძოლა?**

— ჯერ, რა თქმა უნდა, ნაადრევია ამაზე საუბარი. წარმატება უშრომლად არ მოდის. ამისთვის საჭიროა რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის დამატება, გუნდის შეთამაშება, კარგი მოსამზადებელი ციკლის გავლა, მთელი რაიონის ხელშეწყობა. სანამ ეს პირობები არ გვექნება, ნაადრევია წარმატებაზე საუბარი. ამ ძალებით და ამ მომზადებით, ახლა რომ გაგვაჩნია, მხოლოდ ისაა შესაძლებელი, ჯგუფში ადგილი შეინარჩუნო.

**— „მეტალურგთან" წაგების მიზეზად რას თვლით?**

— რუსთაველები ჩვენზე უკეთ არიან მზად და გუნდიც შეთამაშებული ჰყავთ. ჩვენ დიდი პრობლემები გვაქვს ნახევარდაცვაში, რაც ამ თამაშშიც კარგად გამოჩნდა. შუა ხაზში არ მყავს ფეხბურთელი, ვინც თამაშის სადავეებს აიღებს და გუნდის ქაოტურ შეტევებს ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებს. არა, ამ სეზონში ამ გუნდით მხოლოდ ადგილის შენარჩუნებაზე შეიძლება ფიქრი. თუ ყველაფერი კარგად იქნა, დიდ მიზნებს ახალი სეზონიდან შევეჭიდებით.

მამუკა კვარაცხელია



# მოკვეთილი პრეზიდენტი

პირველი წრე ახალი დაწყებული იყო, როცა სენაკის „ეგრისის" პრეზიდენტს კახა რუსიას ერთ-ერთ შეხვედრაში მომხდარი ინციდენტის გამო ფეხბურთის ფედერაციამ მკაცრი განაჩენი გამოუტანა — მას გუნდთან მუშაობა აეკრძალა. როდესაც „შევარდენის" სტადიონზე მატჩის დაწყებამდე კახა რუსია დავინახე, პირველად ის ვკითხე, ახლა მაინც თუ დაგრთეს მუშაობის ნება-მეთქი.

— მე არც გუნდის პრეზიდენტობა მინდა და არც სხვა თანამდებობა. მართალია ფეხბურთის ფედერაციამ გუნდში მუშაობის უფლება წამართვა, მაგრამ როგორ შეველიო გუნდს, რომელსაც სტადიონი ავუშენე. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თვითონ „ეგრისიც" ჩემი ჩამოყალიბებულია და ახლა ეს ყველაფერი მივატოვო? ეს შეუძლებელია. მართალია, მოხდა ინციდენტი და მეც ვიყავი დამნაშავე, მაგრამ ამის გულისთვის გუნდს შევეშვა? მე რომ „ეგრისიდან" წავსულიყავი, ბიჭებიც წავიდოდნენ, სხვა კი გუნდს აღარ უპატრონებდა. თანაც, რაიონის ხელმძღვანელობამ მთხოვა დარჩენა. მოკლედ, შეიძლება არალეგალური პრეზიდენტი დამარქვათ.

**— როგორც ვიცი, ფინანსური პრობლემების გამო წამყვანი ფეხბურთელები გამოგაკლდათ...**

— სხვათა შორის, მთლად მასეც არ არის. ფეხბურთელები ჩინეთში გასინჯვაზე იყვნენ წასულები. ჩვენც მათი გაყიდვა გვსურდა, მაგრამ, მხოლოდ ერთი, რუსია დარჩა, დანელია კი ისევ დაგვიბრუნდა.

ჩვენგან კიდევ ერთი წავიდა — ოზურგეთელი კალანდაძე. იგი ოჯახის პატრონია, ქობულეთში კი უკეთეს პირობებს სთავაზობდნენ და ჩვენც მას გავუგეთ. საერთოდ, დღევანდელ „ეგრისში" ფეხბურთელები ფულის გულისათვის არ თამაშობენ. ყველანი ძმაკაცურად ვართ. მეც, ფაქტიურად, მათი ასაკის ვარ. გუნდში ყველა ჩემი ხათრით თამაშობს. საკონტრაქტო თანხაც არავისთვის გადამიხდია. თავიდან ჩამოვაყალიბეთ გუნდი და ის ხალხი მომყვება დღემდე.

**— საწყენად არ მიიღოთ და ფეხბურთელი მხოლოდ ხათრით ვერ ითამაშებს და თუ ითამაშებს... მოკლედ, შედეგი სახეზეა.**

— ისე არ გაიგოთ, თითქოს ფეხბურთელები საერთოდ უკაპიკოდ თამაშობენ. ხელფასი ეძლევათ, რაშიც ჩემი მეგობრები ხალიჩების კომბინატიდან დიდ დახმარებას მიწევენ, გუნდი ხომ ამ კომბინატთან დაარსდა. ამის შემდეგ როგორ აეწყობა საქმე, ვერ გეტყვით. მაგრამ, სანამ პირში სული მიდგას, „ეგრისს" არ მივატოვებ.

**— სპეციალისტთა მნიშვნელოვან ნაწილს „ეგრისი" I ჯგუფიდან გავარდნის ეჭველ კანდიდატად მიაჩნია...**

— წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, ფეხბურთში კი შემოდგომა მაისის დასასრულს ემთხვევა. დაველოდოთ მე და თქვენ ჩემპიონატის ფინალს და ვნახოთ, გავარდება თუ არა „ეგრისი". მე ამაში ეჭვი მეპარება. თქვენ კიდევ არ იცით „ეგრისის" ძალა. ჩვენ კიდევ ბევრს გავამწარებთ.

მერაბ მამულაშვილი

## ქუთაისელები ციმბირში

ჰანს-ქრისტიან ანდერსენის ზღაპარი „თოვლის დედოფალი" ასე იწყება: დამსხვრეული სარკის პატარ-პატარა ნაწილაკები მთელს მსოფლიოში გაიბნა. ასე ემართება ქუთაისის „ტორპედოს": სად აღარ ნახავთ ამ გუნდის ფეხბურთელებს — სტავროპოლში, ხოჭში თუ ნახოდკაში. ახლა ქუთაისელები ციმბირის ასათვისებლად დაძრულან: დავით ნოზაძე და ამჟამად „სიონის" ფეხბურთელები — დავით რუხაძე, თემურ პაიკიძე და გიორგი ვაშაკიძე, არც მეტი არც ნაკლები, ირკუტსკის „ზვეზდაში" წავიდნენ სათამაშოდ.

# ისტორია მეორდება?

რუსთავის „მეტალურგს" პირველ წრეში ჩინებული სტარტი ჰქონდა. მერე გუნდს ფინანსური პრობლემები მიეძალა და ყველაფერი აირია. ფეხბურთელები მხოლოდ რეზო ძოძუაშვილის ხათრით გადიოდნენ სათამაშოდ. კულისებს მიღმა უკვე რუსთაველთა გუნდის დაშლაზეც საუბრობდნენ, მაგრამ გამოჩნდა ღვთისნიერი ხალხი, ფეხბურთელებს დახმარებას შეჰპირდა. ცოტა ხანში დანაპირები რეალობად აქციეს, „მეტალურგიც" ფეხზე დადგა, მეორე წრისთვის საფუძვლიანად მოემზადა და შედეგიც სახეზეა — ოთხ მატჩში 12 ქულა. რუსთაველთა თავკაცს რეზო ძოძუაშვილს „მეტალურგი" — „გურიას" თამაშის შემდეგ გავესაუბრეთ. ერთი ფაქტი აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ძოძუაშვილს თამაშის შემდეგ რარიგ არ უნდა ეჩქარებოდეს, ზოგიერთი მწვრთნელისგან განსხვავებით, მასთან სასაუბროდ მისულ ჟურნალისტს ცივი უარით არასოდეს გაისტუმრებს. ამჯერადაც ასე მოხდა. დანარჩენზე კი თავად მწვრთნელი მოგახსენებთ...

**— ზედიზედ ოთხი თამაში მოიგეთ, როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე მოახერხა გუნდმა ყოველივე?**

— „მეტალურგის" ოთხი გამარჯვება სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი. კარგად მოგეხსენებათ, რომ გუნდს უკვე გამოუჩნდნენ სპონსორები. ამან ფეხბურთელებზე სასიკეთოდ იმოქმედა. ბიჭები საქმეს პროფესიულად მიუდგნენ, არცერთ თამაშში ძალები არ დაუზოგავთ. ან რატომ უნდა დაზოგონ, როცა ვარჯიშის და დასვენებისთვის შედარებით ნორმალური პირობები გაუჩნდათ. ასე რომ, გუნდის შედეგი სავსებით ლოგიკურია. პირველ წრეში „მეტალურგისთვის" რომ ასე მიეხედათ, უფრო მაღალ ადგილს დავიკავებდით.

**— წარმატებულმა სტარტმა ევროთასებზე გასვლის იმედი ხომ არ ჩაგისახათ?**

— მადა ჭამაში მოდისო, ხომ გაგიგონიათ. ჩვენ ცდას არ დავაკლებთ, მაგრამ არამგონია კონკურენტებს ჩაეძინოთ და უბრძოლველად დაგვითმონ ევროპაში გამსვლელი ადგილი. „დინამო" ხომ ნაღდად გავა, არც „სამტრედია" დააკლებს ხელს. ხელწამოსაკრავები არც „ბათუმი", „მარგვეთი" და „კოლხეთი" გახლავთ. ძირითადად ეს ხუთი გუნდი იბრძოლებს ნანატრი ადგილებისთვის. დამეთანხმებით, კონკურენცია დიდია, სურვილი კი — უდიდესი. წელს ვერ შეგპირდებით, მაგრამ იქითა სეზონში აუცილებლად საპრიზო ადგილზე გავალთ. შეიძლება ოთხმა მოგებამ გულშემატკივრები სერიოზული წარმატებებისთვის განაწყო, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ეს თამაშები შედარებით სუსტებთან ჩავატარეთ. ძირითადი ბრძოლები ჯერ წინაა. თავს არ დავზოგავთ და თუ ცოტათი ღმერთმაც გადმოგვხედა, წინ ვერაფერი დაგვიდგება. ვნახოთ, ცოტა ხანიც და ყველაფერი გაირკვევა.

**— რუსთავში სტადიონი დისკვალიფიცირებულია. სანამდე უნდა ითამაშოთ ნათხოვარ მოედნებზე?**

— ჩვენს სტადიონზე მინდვრის საფარი საკმაოდ გაუმჯობესდა. უწინდელთან შედარებაც არ შეიძლება. კომისიამ მინდორი



შეამოწმა და აპრილიდან საშინაო თამაშების შინ ჩატარების უფლება მოგვცა. აწი „მეტალურგი" რუსთავში ითამაშებს.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მსგავსი სხვა დროსაც შეიძლება განმეორდეს. დამეთანხმებით, რუსთავში სტადიონს სერიოზული მიხედვა სჭირდება, მითუმეტეს, როცა გუნდი ევროთასებზე ფიქრობს...**

— მართალი ბრძანდებით. სტადიონი გასარემონტებელია და მივხედავთ კიდეც. კლუბის ხელმძღვანელობამ ყოველივე სამოქმედო გეგმაში ჩადო და რუსთავში საკადრის სტადიონს გვპირდებიან.

**— „აზოტიდან" შემატებული კედელაშვილი და სილაგაძე თუ ამართლებენ?**

— ჯერჯერობით ჩატარებულ ოთხ შეხვედრაში მათთან საპრეტენზიო არაფერი გამაჩნია.

**— დღევანდელ თამაშზე რა იტყოდით?**

— მთლად ძნელი მატჩი იყო. [illegible] რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალ[illegible] უწინდელი და ახლანდელი „გური[illegible] შედარებაც რომ არ შეიძლება, ესეც უდაო ფაქტია. მართალია, ლანჩხუთელები ამჟამად აუტსაიდერები არიან, მაგრამ გუნდს მომზადება ეტყობა. დღევანდელ თამაშში კი გამოცდილებით და კლასით ვაჯობეთ.

**— შემადგენლობის ცვლილება თუა უახლოეს ხანში მოსალოდნელი?**

— ახლა ამაზე ძნელია საუბარი. გუნდის ძირითადი ბირთვი შეთამაშებულია და ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით. ისე არ გამიგოთ, თითქოს არავის დავიმატებდი. მე ყოველთვის მზად ვარ ახალგაზრდებთან სამუშაოდ და „მეტალურგის" კარი მათთვის ყოველთვის ღია იქნება.

**— შარშან ცოტა ხნით უკრაინის „ტემპში" მუშაობდით. კვლავ საზღვარგარეთ ხომ არ გიწვევენ?**

— წინადადებები კი არის, მაგრამ ჩემი სურვილი მხოლოდ ერთია: მინდა ქართული ფეხბურთისთვის სრულად დავიხარჯო. ვფიქრობ, კიდევ შევძლებ ახალი ტალანტების აღმოჩენას, თანაც ახალგაზრდა მწვრთნელებსაც გამოვზრდი. საკლუბო ბლომად დამრჩა და სანამ საქმეს ბ[illegible] არ მივიყვან, არსად წავალ.

მამუკა კვანტალიანი


# სააგენტო «მინერვა»

**მოგვმართეთ და თქვენს წინაშე ხელისგულივით გადაიშლება მთელი მსოფლიო.**

– მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;
– ბილეთები ავია-რეისებზე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით;
– მყარი, შეუვალი გარანტიები და რაც მთავარია — მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფასები.

**ყველაფერი ეს — ჩვენთან!**

მისამართი: კინოთეატრი „რუსთაველი", ცენტრალური შესასვლელი.
ტელ: 93-22-53

## ვინ ადგა პარასკევს მარცხენა ფეხზე?

„ბერიკონში", საზეიმო ატმოსფეროში, პირველად ჩატარდა ეროვნული თასის ნახევარფინალური შეხვედრების წილისყრა. ნახევარფინალისტები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: „ბათუმი" — „მარგვეთი", „სამტრედია" — „დინამო". თამაშები 15 აპრილს და 5 მაისს იყო დანიშნული, მაგრამ საბერძნეთთან ჩვენი ნაკრების შეხვედრის გამო ამ თარიღმა წინ გადმოიწია.

ვერ გეტყვით, კენჭისყრის დღეს — 29 მარტს რომელ ფეხზე ადგა „სამტრედიის" ვიცე-პრეზიდენტი რამაზ თელია, მაგრამ კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ ეს მარცხენა კიდური უნდა ყოფილიყო. კენჭისყრამდე გუნდების წარმომადგენლებს ვკითხე, ვის ისურვებდნენ ნახევარფინალში. თელიამ სასურველ მეტოქეებად ზესტაფონელები დაასახელა. მიზეზი გასაგებია — თბილისისა და ბათუმის დინამოელები თასზე ყველაზე უხერხული მეტოქეები არიან. ალბათ, ამის გამოც იყო, თბილისის „დინამოს" დირექტორატის წევრმა მერაბ რატიანმა რომ იხუმრა: „ჩვენთვის სულ ერთია, ვისთან ვითამაშებთ, იმან იკითხოს, ვინც დღეს მარცხენა ფეხზე ადგა და კენჭისყრა „დინამოს" შეახვედრებსო".

თავიდანვე აღვნიშნე, რომ საზეიმო ვითარებაში კენჭისყრა პირველად ჩატარდა. ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის თქმით, „დროა ცივილიზებულ ქვეყნებში დამკვიდრებული წესები ჩვენშიც დაინერგოს. იქნებ ამან მოთამაშეებიც გაახალისოს და ჩემპიონატსაც მეტი სტიმული და საზეიმო ელფერი მისცეს". კენჭისყრის არატრადიციულად გამართვის იდეა კი, კვინიკაძის თქმით, თბილისის „დინამოს" ეკუთვნის.

ვის არ ნახავდით „ბერიკონში": სეოკ-ის პრეზიდენტ ნონა გაფრინდაშვილს, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძეს... მუსიკამ და შამპანურმა ღონისძიებას „ღვინისძიების" ელფერი შესძინა. [illegible]ტუაციაც განმუხტა — იგი ლაღი და დაძაბულობისაგან სრულიად თავისუფალი გახლდათ. წილისყრა ოც წუთში დასრულდა. გუნდების წარმომადგენლებმა ჟურნალისტებსა და დამსწრე საზოგადოებას პირველი შთაბეჭდილება გაუზიარეს.

მალხაზ ჩიჩუა (ბათუმი): ჩვენთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა მეტოქის ვინაობას — მთავარი ფინალში გასვლა და წარმატებით თამაშია.

ვასილ ხაჭაპურიძე (მარგვეთი): კიდევ კარგი, რომ „დინამოს" არ შევხვდით.

რამაზ თელია (სამტრედია): წილისყრით კმაყოფილი ვარ.

მერაბ ჟორდანია (დინამო): სიმართლე რომ ვთქვა, ამ ეტაპზე „სამტრედია" მაინცდამაინც სასურველ მეტოქედ არ მიმაჩნდა, მაგრამ ფორტუნამ ასე ინება.

მერე ტრიბუნა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს დაუთმეს. ალექსანდრე ჩივაძემ საკმაოდ ვრცლად ისაუბრა კვიპროსში ჩატარებულ შეხვედრაზე:

„... ქინქლაძემ მცირე ტრავმა მიიღო და მისი ჩამოსვლა მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ. ტრავმების გამო ვერ ითამაშეს გოგრიჭიანმა და გრიშიკაშვილმაც, თუმცა გამოუვალი მდგომარეობა გვქონდა და ეს უკანასკნელი მაინც შევიყვანეთ განაცხადში. მინდა აღვნიშნო კალაძის დებიუტი. ახალბედას პირობაზე, მან წარმატებით ითამაშა.

... თამაშის წინ ბიჭებთან გულახდილი საუბარი მქონდა. მათ მშვენივრად იციან, თუ რა დონის გუნდებთან უწევთ შეხვედრები. ჩვენ ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და მიზნად მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრა დავისახეთ.

... რაც შეეხება დევაძეს, ნურავინ იფიქრებს, რომ იგი ნაკრების წევრი აღარ იქნება. ამხანაგურ შეხვედრებში ძირითადად რეზერვს ვსინჯავთ და შესაძლოა ძირითადის ზოგიერთი ფეხბურთელი არ გამოვიძახოთ. ამიტომ არ იფიქროთ, რომ ისინი ნაკრების წევრები აღარ არიან. იგივე ითქმის დევაძეზეც...

... მართალია, კვიპროსში თავდასხმამ კარგად ითამაშა, მაგრამ მათგან მაინც მეტს ველოდი.

... ძალიან მიხარია, რომ ტრავმების შემდეგ ცხადაძემ და შელიამ ბრწყინვალედ ითამაშეს.

... საერთოდ, მსაჯების კრიტიკა არ მჩვევია, მაგრამ კვიპროსელმა მსაჯებმა რამდენიმე აშკარა შეცდომა დაუშვეს...

... ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკებები და შესაძლოა აგვისტო-სექტემბერშიც გავმართოთ ამხანაგური შეხვედრები.

... კვიპროსის ტელევიზიამ შეხვედრა არ აჩვენა, თუმცა კი მასპინძლები შეგვპირდნენ, ვიდეოჩანაწერს გამოგიგზავნითო. ასე რომ, ქართველ მაყურებელს ამ მატჩის ნახვის საშუალება ექნება."

მერაბ მამულაშვილი

## ჯელაძე მწყობრშია

ახალგაზრდული ნაკრების და თბილისის „დინამოს" ახალწვეული გიზო ჯელაძე ტრავმებმა დატანჯა: ფეხბურთელმა კარგა ხანს ვერ მოირჩინა მარჯვენა ფეხის კუნთი. რამდენჯერმე თითქოს მოიშუშა, მაგრამ ტკივილები უახლდებოდა. გიზომ გადაწყვიტა ნატკენი ფეხი დაესვენებინა და საფუძვლიანად ემკურნალა. მცდელობამ ნაყოფი გამოიღო. ჯელაძე ახლა ინდივიდუალურად ვარჯიშობს, ხოლო გუნდის ექიმმა 2 აპრილიდან ძირითად შემადგენლობასთან ვარჯიშის უფლება დართო. ასე რომ, „დინამო" კიდევ ერთ სწრაფ ნახევარმცველს შეიმატებს.

## მწერლები ფეხბურთელებს ხვდებიან

„თამაშს" მწერლები საკუთარ „მოედანზე" — მაჩაბლის ქუჩაზე გამართავენ. ამის თაობაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ „ბერიკონში" გამართულ ეროვნული თასის კენჭისყრაზე განაცხადა. „ფეხბურთელებს მოსაწყენი ცხოვრება აქვთ. გამუდმებული ვარჯიშების შემდეგ ბაზაზე ფილმების ყურებით ისინი ვერ განიმუხტებიან, მწერლებთან და პოეტებთან უშუალო კავშირით კი ეს სავსებით შესაძლებელია. „თამაშის" ჩატარების იდეა ნოდარ ახალკაცსა და მე გვეკუთვნის. შეხვედრის მოწყობა კვიპროსიდან ნაკრების ჩამოსვლის შემდეგაც გვსურდა, მაგრამ ერთი კვირით გადაიდო. იმედი მაქვს, რომ შეხვედრა თავისუფალ ატმოსფეროში ჩატარდება და ფეხბურთელებსაც სულიერი დასვენების საშუალება მიეცემათ. ბუნებრივია, სერიოზულიც და დასაფიქრებელიც ბევრია. მაგალითად, მე ძალიან მაშფოთებს ქართველ ფეხბურთელთა დაბალპრესტიჟულ ლიგებში გადასვლა. ყველას გვიხარია, რომ იზრდება ინგლისში მოთამაშე ჩვენებურთა რიცხვი, რასაც ვერ ვიტყვით „ვლადიკავკაზელ" ქართველებზე. მოკლედ, სათქმელი ბევრია და იმედი მაქვს, რომ ჩვენი შეხვედრა ამ მხრივ უშედეგოდ არ ჩაივლის.

## საფეხბურთო ლიცეუმი ზესტაფონში

ბავშვთა ფეხბურთში არსებული პრობლემების მოუგვარებლად ქართული ფეხბურთის წინსვლა რომ წარმოუდგენელია, ეს სადავო არ არის. ბევრმა მათგანმა, ვისაც დიდი გუნდის შექმნის სურვილი ამოძრავებდა, სხვა მიზეზებთან ერთად ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაც ვერ გაითავისა და ალბათ, ამის გამოც დარჩა ისტორიაში ერთწლიან პრეზიდენტად.

ზესტაფონის „მარგვეთის" პრეზიდენტს ვასილ ხაჭაპურიძეს, როგორც გაუწყეთ, ზესტაფონში საფეხბურთო ლიცეუმის დაარსება გადაუწყვეტია.

„ლიცეუმის დაარსების იდეა დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევს. ბევრი ვიფიქრე, ავწონ-დავწონე, ბოლოს რეალური კონტურებიც გამოიკვეთა. ახლა უკვე ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. თუ რაიონის ხელმძღვანელობა დაგვეხმარება, კარგი იქნება, თუმცა, ჩვენს ჩანაფიქრს მათი დახმარების გარეშეც განვახორციელებთ. ლიცეუმს ზესტაფონში, ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობაში დავაფუძნებთ. შენობა იჯარით ავიღეთ და ვარემონტებთ, რასაც ივნისის დამლევს დავასრულებთ, აგვისტოდან კი მთელი იმერეთის ბავშვებისთვის კონკურსს ჩავატარებთ და საუკეთესოებს სკოლაში ჩავრიცხავთ. სწავლის პერიოდში ბავშვები ლიცეუმში იცხოვრებენ. ყოველივე იმიტომ კეთდება, რომ „მარგვეთსა" და ქართულ ფეხბურთს საიმედო ცვლა გავუზარდოთ. შედარებისათვის არ ვამბობ, მაგრამ ლიცეუმი „აიაქსის" სკოლის ანალოგიურად მქონდა ჩაფიქრებული — ორიგინალური სასწავლო მეთოდით და მტკიცე მატერიალური ბაზით. მართალია, ჰოლანდიელებს ბევრით ჩამოვრჩებით, მაგრამ თუ ახლავე არ გადავდგით ეს ნაბიჯი, ეს ჩამორჩენა კიდევ უფრო თვალშისაცემი იქნება".



ოჯახური

## უცებ რომ შეეჩვევი, ისეთია

ალბათ დამეთანხმებით, რომ სპორტსმენთა შორის არიან ისეთები, რომლებიც ზოგჯერ ყველაზე შავ სამუშაოს ასრულებენ, მათზე კი ან ნაკლებს, ანდა საერთოდაც არ ლაპარაკობენ. ვინ იცის, იქნებ ასეც სჯობია [illegible] ფეხბურთელი, რომლის ოჯახშიც დღეს გეპატიჟებით, [illegible] გორიის სპორტსმენებს მიეკუთვნება და მაინც, გელა ინალიშვილის პოპულარობისათვის ამას ხელი არ შეუშლია.

გელა ინალიშვილის ოჯახი სხვა, ტრადიციული ქართული ოჯახებისაგან არაფრით განსხვავდება. თუ არ ჩავთვლით, რომ დღეს ისინი თავისი კუთხიდან, გალიდან, საკმაოდ შორს, თბილისში გადმოისროლა ბედმა საცხოვრებლად და კიდევ იმას, რომ ინალიშვილების ოჯახში ახალი წევრი, სათნო და მშვენიერი რძალი შევიდა.

— მე ვარ თამუნა ყოლბაია, აპრილში 18 წლის ვხდები. ვსწავლობ სახელმწიფო უნივერსიტეტში, უცხო ენათა ფაკულტეტის II კურსზე, თუმცა უმაღლესის დამთავრების შემდეგ მინდა ჟურნალისტი გავხდე. მგონი კარგია, როცა ჟურნალისტი უცხო ენაზე, რომელიმეზე მაინც თავისუფლად მეტყველებს, არა?

... სიმართლე გითხრათ, შეკითხვა თითქოს განზრახ იყო დასმული: II კურსზე, უცხო ენათა ინსტიტუტში, მეც ასე ვფიქრობდი. თამუნა ყოლბაია კი სრულიად უცხო ადამიანთან რომ ასე შინაურულად და უპრობლემოდ შემოვიდა კონტაქტში, კარგის მომასწავებლად მეჩვენა. ესე იგი ჩვენ აუცილებლად გულახდილი დიალოგი გამოგვივიდა.

— ჰო, კიდევ მყავს დედა, პროფესიით ექიმი, მამა — ეკონომისტი. ძმა საშუალო სკოლის I კლასის მოსწავლეა და მეუღლე გელა — თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი.

**— თამუნა, საწყენად ნუ მიიღებ, მაგრამ გელასა და შენს შორის სხვაობა ასაკში შესამჩნევია. როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

— მართალია, გალში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ გელა რომ „არსებობდა", აზრზე არ ვიყავი. გეთანხმები, პატარა ვიყავი და გელა კი უფროსი იყო... თბილისში რომ გადმოვედით საცხოვრებლად, გელას პირველად მაშინ შევხვდი. ის ჩემი დეიდაშვილი ბაჩის უახლოესი ძმაკაცი იყო და ახლაც არის, თანაც თურმე უკვე მაშინ მამასთანაც მეგობრობდა. მოდიოდა ბაჩის სანახავად. ახლა როგორც მეუბნება, ჩემზე „თვალი მაშინ დაუდგია". გელა რომ ფეხბურთელი იყო, საერთოდ არ ვიცოდი. სიმართლე გითხრა, თავად ფეხბურთზეც არ ვგიჟდებოდი. ყოველთვის კალათბურთი უფრო მიყვარდა.

**— ესე იგი, გელას, როგორც ფეხბურთელს, არ იცნობდი?**

— ხომ გითხარი, წარმოდგენა არ მქონდა. მახსოვს, მთელი ოჯახი ტელევიზორთან იყო მიმჯდარი. გელამ თურმე ესპანეთს თასის გათამაშებაზე პენალტი გააფუჭა. დედა, რა ამბავი ატყდა სახლში: მეგონა, დაინგრა ქვეყანა — რა მოუვიდა გელასო. მაშინ დავინტერესდი, ვინ იყო ბოლოს და ბოლოს ეს გელა, ასეთი აურზაური რომ გამოიწვია...

**— ჰოდა, ვინ ყოფილა?**

— თბილისში რომ დაბრუნდნენ, ბუნებრივია ჩვენთანაც მოვიდა ოჯახში. ამის შემდეგ ეს პროცედურა გადაუდებელ ტრადიციად იქცა, ვიზიტების ხშირი ხასიათი მალე გელამ აუცილებლობად გადააქცია. დავყავდი ერთი მასწავლებლიდან მეორესთან, მაგრამ არაფერს მეუბნებოდა. ასე ეშმაკურად თუ მოიქცეოდა კაცი, არ მეგონა.

**— ოჯახში?**

— ოჯახში? შენ წარმოიდგინე, თურმე ყველაფერი იცოდნენ და საწინააღმდეგოც არ ჰქონიათ. რატომ მოგატყუო და, ბოლოს თითქოს რაღაცას ვგრძნობდი კიდეც, მაგრამ მე თავს „ბავშვად" ვთვლიდი და რას წარმოვიდგენდი, თუ ისეთი სერიოზული პიროვნება, როგორიც გელაა, ჩემს ცოლობას გაივლებდა თავში... გერმანიაში წასვლის წინ გამომიტყდა. ორი დღე შოკში ვიყავი.

**— თამუნა, ბიჭებისაგან გამიგია, სადმე უცხო „კამპანია" იქნება ეს თუ ნაცნობი, ჩვენ ყურადღებას არავინ გვაქცევს, გელას კი ქალები ბუზებივით ეხვევიანო.**

— ვერ გეტყვი. გელასა და ჩემი ურთიერთობისთვის არც ცოლობამდე და არც დაქორწინების შემდეგ ხელი არაფერს შეუშლია. ალბათ, ასე იმიტომ ხდება, რომ თვითონ გელაა ასეთი ხასიათის... მას ყველა უცებ ეჩვევა. ეგეთია — ძალიან უბრალო და კეთილი.

**— ქორწილის შემდეგ შეიცვალა?**

— რა თქმა უნდა. ქორწილამდე შედარებით მორიდებული იყო, ახლა კი თავში დაჯერებულია.

**— კონფლიქტი ჯერ არ მოგსვლიათ?**

— სერიოზული არა. საერთოდ, კამათს მე ვიწყებ ხოლმე. გულახდილად გეუბნები, უბრალო რამეზე უცბად ვბრაზდები. გელა არა, სხვანაირია... სხვათაშორის მე ჟურნალისტობა მინდა. შემდეგ, რასაც ჰქვია „საქმიანი ქალი", მინდა გავხდე, წავიდე საზღვარგარეთ...

... ამ საუბრის დროს ოთახში გელა შემოვიდა. როგორც ჩანს, ფეხბურთელები ცნობისმოყვარეობას ვერ მალავენ, როდესაც მათი მეუღლეები ჟურნალისტებთან საუბრობენ. ასე იყო ახლაც. თუმცა გელას ოთახში ყოფნა საინტერესოდ ჩავთვალე და რამდენიმე შეკითხვა მასაც დავუსვი. უფრო ზუსტად, შეკითხვები ერთდროულად გელასკენ და თამუნასკენ იყო მიმართული და როგორც გავარკვიე, მათი ინტერესები და გემოვნება, როგორც წესი, ემთხვევა.

**— ოჯახში უფროსი ვინ არის?**

— საერთოდ გელა, მაგრამ როდესაც საქმე რაიმე პრობლემის ან მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას ეხება, ჩვენ ვცდილობთ იგი ერთად გადავჭრათ.

**— ანუ, ინალიშვილების ოჯახში დემოკრატიაა?**

— დემოკრატია, მხოლოდ არა ანარქია... ვითომ ხომ ასაკში სხვაობაა, მაგრამ ოჯახი ისეთი თბილია, არაფერი მიჭირს. განსაკუთრებით გელას ძმას, გიას შევეჩვიე. როგორც გელა გვეძახის — „ორივე ერთნაირი გიჟები ვართ".

**— საოჯახო საქმეებს როგორ შეეჩვიე?**

— (იცინის). გათხოვებაზე არასდროს მიფიქრია. საქმე საქმეზე რომ მიდგა, არც გამხსენებია, რომ დიასახლისობა მომიწევდა. ალბათ დრო მოიტანს, მაგრამ ახლა არც სახლის დაგვა მიყვარს, არც... აქ ჩემი დედამთილი აწესრიგებს ყველაფერს, იქ — დედა.

— ?!

— არა, საჭმელს ვაკეთებ. ყველაზე კარგად კარტოფილს ვწვავ. გელას ძალიან უყვარს. იცი, გელას რომ ვკითხე, რას აკეთებ ყველაზე კარგად-მეთქი — ჩაის ვადუღებო — მიპასუხა. ჰოდა, ჩაი და შემწვარი კარტოფილი ერთმანეთს თურმე ძალიან უხდება.

**— გელასგან გამიგია, რომ მისი ყველაზე დიდი გულშემატკივარი და და მამა არიან...**

— ასე იყო ადრე. რაც მე გელას მეუღლე ვარ, ჯერ არ უთამაშია. ერთი სული მაქვს წავიდე და ვნახო, როგორია გელა მოედანზე. მე ხომ გელას „სამსახურის" მეგობრებს, მურთაზ შელიას გარდა, მხოლოდ გვარებით ვიცნობ.

... თავისუფალ დროს... თავისუფალ დროს კი თამუნას წიგნების კითხვა ჰყვარებია და კიდევ „ჯოკერის" თამაში, ვინმესთან წყვილში, გელასა და საკუთარი მამის წინააღმდეგ და თურმე იმდენს „წუწუნებს" თამაშის დროს, რომ ბოლოს ყოველთვის იგებს.

თამუნას ერთი დიდი და სანატრელი ოცნებაც აქვს. დაბრუნდეს გალში, სადაც განგაშის ხმას აღარ გაიგებს და კიდევ — ნახოს სოხუმი ისეთი, რომ ქუჩაში გასულს არც ტანკიდან ნასროლი ნაღმი და არც ჰაერიდან დაბომბვა დაემუქრება; და ყოველ წუთში რომ არ გექნება შიში, ვაი თუ მამა დახვრიტეს, ან...

„აი, იქ რომ ჩამოხვალთ, დიასახლისად მე მიგულეთო" — დამემშვიდობა ბოლოს თამუნა.

თამუნა ჯიშკარიანი



გელა ინალიშვილი და თამუნა ყოლბაია

# იტალია

## იუვენტუსი 1:0 პარმა

იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი, ვერხოვოდი, ფერარა, პესოტო (მაროკი 84), სოუზა (იუგოვიჩი 60), დი ლივიო, დეშამპი, ვიალი, დელ პიერო (პორინი 66), პადოვანო

პარმა: ბუჩი, დი კიარა, მინოტი, აპოლონი, კოუტუ, სენსინი, კრიპა, ძოლა, მუსი (კასტელინი 46), მელი (პირო 79), დ. ბაჯო

გოლი: ბუჩი (63, საკ. კარში)

გაფრთხილება: კოუტუ, პადოვანო, მინოტი, ბუჩი, მუსი

## ნაპოლი 0:0 კალიარი

30 000 მაყურებელი

ნაპოლი: ტალიალატელა, ბორდინი, ტარანტინო (კოლონეზე 62), პარი, აიალა, ბალდინი, ბუზო, პეკია, აგოსტინი, პიცი, დი ნაპოლი (პოლიკანო 60)

კალიარი: აბატე, პანკარო, პუშედუ (სანა 85), ვილა, ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, ვენტურინი, სილვა, ოლივეირა (ლანტინიოტი 78), მუცი (ონილი 74)

გაფრთხილება: ბორდინი

## პიაჩენცა 0:2 მილანი

17 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, როსინი, დი ფრანჩესკო, მ. კონტე (კაპელინი 69), ლუჩი (მაკოპი 75), ტურინი, ა. კარბონე, კაჩა, კორინი (მორეტი 62), პიოვანი

მილანი: ს. როსი, ტასოტი, პანუჩი, ვიეირა, მალდინი, ბარეზი, დონადონი, დესაი, რ. ბაჯო (დი კანიო 78), სავიჩევიჩი (ლოკატელი 90), სიმონე (სორდო 67)

გოლი: დესაი (51), სიმონე (66)

გაფრთხილება: პიოვანი, სიმონე, ბარეზი

ბარეზიმ სერია A-ში მე-500 მატჩი ითამაშა

## ბარი 1:2 რომა

30 000 მაყურებელი

ბარი: ფონტანა, რიპა, მანგონე (პ. ანონე 68), ფიკინი (ინგესონი 68), სალა, მონტანარი, გაუტიერი, პარენტე (რიჩი 63), ანდერსონი, ჯერსონი, პროტი

რომა: ჩერვონე, ალდაირი, კარბონი, დი ბიაჯო, პეტრუცი, ლანა, მორიერო (ჯ. ანონი 92), სტატუტო, ბალბო (ტოტი 31), ჯანინი, ფონსეკა (დელვეკიო 89)

გოლი: პარენტე (1), ტოტი (51), სტატუტო (65)

გაფრთხილება: პარენტე, რიპა, კარბონი, ალდაირი, ტოტი, სტატუტო

გაძევება: პეტრუცი, რიპა (I ტაიმის 48-ე წუთი)

## ატალანტა 1:0 ტორინო

18 207 მაყურებელი

ატალანტა: პინატო, ვალენტინი, პავონე (ტოვალიერი 51), ფორტუნატო, ერერა, მონტერო, ბონაჩინა, გალო (სგრო 68), ვიერი, მორფეო, პიზანი (ბოზელი 76)

ტორინო: კანიატო, ანგლომა, მაცანო, ფალკონე, ბაჩი, მალტალიატი (დალ კანტო 51), კრისტალინი, სოლიანო, რიციტელი, პელე, კარიჩი (დიონიჯი 85)

გოლი: მორფეო (73 პ)

გაფრთხილება: გალო, მონტერო, მორფეო, ფალკონე, ბაჩი, პელე

## ლაციო 3:0 ვიჩენცა

50 000 მაყურებელი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ფავალი, დი მატეო, ბერგოდი (ნესტა 25), შამოტი, რამბაუდი (იანუცი 35), ფუზერი (გოტარდი 82), ბოკშიჩი, ვინტერი, სინიორი

ვიჩენცა: მონდინი, სარტორი, მენდესი, დი კარლო, ბიორკლუნდი, ბელოტი, ამბროზეტი (მურჯიტა 50), მ. როსი (ლომბარდინი 65), ამერინი, ვივიანი, ოტერო

გოლი: სინიორი (45 პ, 55, 60 პ)

გაფრთხილება: დი მატეო, სინიორი, დი კარლო

გაძევება: გვიდოლინი (ვიჩენცას მწვრთნელი) — 45

## ინტერი 1:2 ფიორენტინა

65 000 მაყურებელი

ინტერი: პალიუკა, ბერგომი (პისტონე 78), კარლოსი, ძანეტი, პაგანინი, ფესტა, ბიანკი (ორლანდინი 61), ჩენტოფანტი (კაიო 67), ბრანკა, დალ ანო, განცი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, კოისი, პიაჩენტინი, ამორუზო, პადალინო, შვარცი, ბიჯიკა (ან. ორლანდო 89), ბატისტუტა, რუი კოშტა (რობიატი 91), ბაიანო (სოტილი 75)

გოლი: ჩენტოფანტი (10), კოისი (26), პადალინო (32)

გაფრთხილება: პაგანინი, კოისი, ბიჯიკა

გაძევება: ორლანდინი (93)

## პადოვა 1:2 კრემონეზე

11 639 მაყურებელი

პადოვა: ბონაიუტი, სკონციანო (კუიჩი 46), გაბრიელი, ნავა (ფიორე 46), ჯამპიეტრო, როზა, კრეეკი, ნუნციატა, ამორუზო, ლონგი, ვლაოვიჩი

კრემონეზე: ტურჩი, გუალკო, ორლანდო, ჯანდებიაჯი, დალ ინია (ბასანი 48), ვერდელი, პეტრაკი (კრისტიანი 64), პეროვიჩი, ფლორიანჩიჩი, მასპერო, ტენტონი (ალოიზი 79)

გოლი: ფლორიანჩიჩი (41, 56), ამორუზო (93)

გაფრთხილება: როზა, გუალკო

გაძევება: ნუნციატა (76)

## უდინეზე 2:4 სამპდორია

გოლი: 0:1 მანჩინი (31), 1:1 ბირჰოფი (46), 1:2 მანჩინი (55), 1:3 კიეზა (63), 1:4 მიხაილოვიჩი (71), 2:4 მარინო (75)

### ბომბარდირები:

პროტი (ბარი) — 18

სინიორი (ლაციო) — 18

ბატისტუტა (ფიორენტინა) — 16

კიეზა (სამპდორია) — 16

ბრანკა (ინტერი) — 14

ოლივეირა (კალიარი) — 14

ბირჰოფი (უდინეზე) — 14

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 27 | 17 | 8 | 2 | 46:17 | 59 |
| იუვენტუსი | 27 | 15 | 6 | 6 | 47:25 | 51 |
| ფიორენტინა | 27 | 14 | 8 | 5 | 43:25 | 50 |
| ინტერი | 27 | 12 | 8 | 7 | 35:21 | 44 |
| პარმა | 27 | 11 | 10 | 6 | 35:26 | 43 |
| ლაციო | 27 | 12 | 6 | 9 | 51:33 | 42 |
| რომა | 27 | 11 | 9 | 7 | 35:26 | 42 |
| სამპდორია | 27 | 10 | 8 | 9 | 44:41 | 38 |
| ვიჩენცა | 27 | 10 | 8 | 9 | 29:30 | 38 |
| უდინეზე | 27 | 9 | 7 | 11 | 32:37 | 34 |
| ატალანტა | 27 | 9 | 6 | 12 | 30:42 | 33 |
| კალიარი | 27 | 9 | 6 | 12 | 28:40 | 33 |
| ნაპოლი | 27 | 7 | 11 | 9 | 23:33 | 32 |
| პიაჩენცა | 27 | 7 | 7 | 13 | 26:46 | 28 |
| კრემონეზე | 27 | 5 | 10 | 12 | 32:40 | 25 |
| ტორინო | 27 | 5 | 10 | 12 | 25:38 | 25 |
| ბარი | 27 | 5 | 7 | 15 | 38:57 | 22 |
| პადოვა | 27 | 6 | 3 | 18 | 30:52 | 21 |


## საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი № 25 (6-7 აპრილი)

| | |
|---|---|
| 1 მილანი — ლაციო | იტალიის ჩემპიონატი |
| 2 ტორინო — იუვენტუსი | იტალიის ჩემპიონატი |
| 3 პარმა — ნაპოლი | იტალიის ჩემპიონატი |
| 4 ვიჩენცა — ატალანტა | იტალიის ჩემპიონატი |
| 5 ოვიედო — ატლეტიკო | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6 ბარსელონა — სოსიედადი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7 რეალი — სპორტინგი | ესპანეთის ჩემპიონატი |

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 6 აპრილს 16. 00 სთ-ზე

### ყურადღება!

„თამაშის წესების" მე-10 პუნქტში შეტანილია ცვლილებები. ამიერიდან — იმ შემთხვევაში, თუ ტირაჟის ერთი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, მოთამაშეებს შესაბამისი მატჩის ანგარიში ჩაეთვლებათ გამოცნობილად. თუ არ ჩატარდა ორი ან მეტი მატჩი — ტირაჟი გამოცხადდება გაუქმებულად. ბილეთის ღირებულება უკან დაბრუნდება. არჩატარებულად ჩაითვლება:

1) მატჩი, რომელიც არ ჩატარდება (დამთავრდება) მომდევნო ტირაჟის ბილეთების რეგისტრაციის (ჩაბარების) ვადის ამოწურვამდე;

2) მატჩი, რომელიც დაიწყება შესაბამისი ტირაჟის ბილეთების რეგისტრაციის (ჩაბარების) ვადის ამოწურვამდე.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, ახმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.


# პაკოს ოცნება

ფრანსისკო „პაკო" მატურანა, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე კოლუმბიის ნაკრებს რომ წვრთნიდა, ახლა ეკვადორს უდგას სათავეში. შესაბამისად, მისი ახალი ოცნება, გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანაა. 1994 წლის შემდეგ მწვრთნელმა ცოტა ხანი ესპანეთში, მადრიდის „ატლეტიკოს" თავკაცად გაატარა, მაგრამ ბოლოს ისევ სამხრეთ ამერიკას დაუბრუნდა. ახალ ამოცანებზე მატურანა „უორლდ სოკერის" კორესპონდენტს ლეს დივენსს ესაუბრება.

**— თქვენ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მწვრთნელი ბრძანდებით. კარიერის გასაგრძელებლად რაღა მაინცდამაინც ეკვადორი არჩიეთ?**

— ეკვადორელთა შემოთავაზებას იმიტომ დავთანხმდი, რომ კიდევ მსურს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება. საკმაოდ იღბლიანი კაცი ვარ, რადგან ორჯერ, 1990 და 1994 წლებში მყავდა გუნდი მსოფლიოს პირველობაზე. ამან დიდი გამოცდილება შემძინა და ახლა ეკვადორთან ერთად იგივე მინდა გავაკეთო.

**— ეკვადორის ნაკრებთან დაკავშირებით რა მიზანი გაქვთ?**

— მოვხვდე საფრანგეთში მსოფლიოს პირველობაზე და შევქმნა ისეთი გუნდი, ეკვადორში ყველა რომ ელის.

**— რა პროგრამა გაქვთ მომდევნო 12 თვეში?**

— წელიწადს შუა-აღმოსავლეთსა და აზიის ტურნეთი დავიწყებთ. ამ ტურნეს დროს ერთმანეთსაც უკეთ გავიცნობთ და ფიზიკურ მომზადებასაც გავიუმჯობესებთ. შემდეგ, იმედი მაქვს, რომ ორიოდ ამხანაგურ მატჩსაც გავმართავთ, რაც საერთაშორისო დონეზე გაგვიყვანს.

**— 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, კოლუმბიის ნაკრებს იმედით შეჰყურებდნენ. მერე რა მოხდა?**

— საკმაოდ თავდაჯერებულნი ვიყავით და წინასწარი სამუშაოც სრულყოფილად გვქონდა შესრულებული, მაგრამ დაიწყო ტურნირი და საკუთარი გამოუცდელობისა და ისტორიის ტერორში მოვყევით. სხვა მიზეზების ძიება ჩვენ მხრივ უადგილო იქნებოდა. ყველაფერი ნათელია. კოლუმბია მოუმზადებელი აღმოჩნდა. ჩვენ შესარჩევ ტურნირსა და ამხანაგურ მატჩებში მშვენივრად ვითამაშეთ, მაგრამ როგორც კი მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი მატჩი წავაგეთ, გავტყდით. შემდგომი მატჩების მოსაგებად ვეღარ გავმთლიანდით.

**— მაშ ფინალური ეტაპის წინ საგანგებო არაფერი მომხდარა?**

— არაფერი. ამერიკისკენ რომ გავეშურეთ, ყველაფერი საუცხოოდ იყო. იმედით აღსავსენი ვიყავით, მაგრამ არ გვყავდა ისეთი გუნდი, საჭირო მომენტში სწორად რომ იმოქმედებდა. მეტოქეები გვისაფრდებოდნენ და კონტრშეტევას გვთამაშებოდნენ. ჩვენ კი მაინც ჩვენებურად განვაგრძობდით, რადგან ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ მათზე უკეთესნი ვიყავით. ჩვენ თამაშების წარმართვას ვცდილობდით, ისინი კი იგებდნენ. პირველი შეხვედრის შემდეგ პრესამ წნეხში გაგვატარა, რამაც ქაოსი და დაბნეულობა გამოიწვია. თავი და ბოლო ვეღარაფერს გავუგეთ.

**— რენე იგიტა სულ გუნდში გყავდათ. რატომ?**

— იგიტა ჩემზე მუდამ დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა. „ნასიონალში", ოლიმპიურ თუ მთავარ გუნდში, იგი ყოველთვის საუკეთესოდ მიმაჩნდა. შემდეგ ცხოვრება აერია, ციხიდან გამოსვლის მერე კი საუკეთესო აღარ იყო. კორდობა მასზე უკეთ თამაშობდა.

**— მის „სკორპიონის დარტმაზე", „უემბლიზე" რომ გააკეთა, რას იტყვით?**

— ლათინოამერიკული ფოლკლორის ნაწილია. ჩვენ გვიყვარს ამგვარი რამეების ცქერა. ევროპელთათვის ფეხბურთის უმთავრესი დანიშნულება გამარჯვებაა. იმ დარტყმას იგიტა ორი თუ სამი წლის განმავლობაში სწავლობდა. კოლუმბიაში მისმა შემყურე მიმბაძველმა ბავშვებმა ცხვირ-პირი დაილეწეს. ისე კი, არა მგონია ამას ფეხბურთში რაიმე მომავალი ჰქონდეს.

**— ოდესმე კვლავ ჩაუდგებით კოლუმბიის ნაკრებს სათავეში?**

— ფეხბურთში ვერასოდეს განსაზღვრავ, რა მოხდება. ამჟამად არ მსურს დღევანდელ საქმიანობას მოვწყდე, მერე კი ვინ იცის.

**— ალბათ გული დაგწყდათ, 1994 წელს ჩავარდნა რომ მოჰყვა. ანდრეას ესკობარი, თქვენი ესპანური ეპოპეა...**

— მე სხვაგვარად ვფიქრობ. თუმცა ათი წელიწადი მწვრთნელი ვარ, ახალგაზრდა კაცი მეთქმის. ვიყავი ჩემპიონი, როცა კლუბს ვედექი სათავეში. ნაკრებს სამხრეთ ამერიკის პირველობა მოვაგებინე. ევროპაში სამჯერ ვმუშაობდი. ორჯერ შესარჩევი ტურნირი მოვიგე და მსოფლიოს ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა. დამასახელეს სამხრეთ ამერიკის საუკეთესო მწვრთნელად და „დანარჩენი მსოფლიოს" გუნდს ვუხელმძღვანელე. ეს იმაზე მეტყველებს, რომ 10-წლიან კარიერაში ბევრს მივაღწიე. მუდამ ერთ ფრაზას ვიმეორებ, რომელიც, თუ არ ვცდები, შექსპირისაა: „თუ საკუთარ შეცდომებზე სწავლობ, არასდროს წააგებ." აი, ასე ვუყურებ მოვლენებს. სულ ვაანალიზებ საკუთარ ნალვაწს და საკუთარი შეცდომის აღმოჩენას ვცდილობ. იმის თქმა როდი მინდა, რომ არასდროს წავაგებ, მაგრამ ვგრძნობ, რომ უკეთესი პიროვნება გავხდი. მე რთული დროება გამოვიარე და ახლა მომავლისკენ ვიყურები. უკან რომ მოვიხედო, სიჩქარეს დავკარგავ.

**— რამდენიმე შესარჩევი მატჩი ეკვადორს მაღალმთიან ქალაქებში აქვს დაგეგმილი. რა აზრი აქვს ამას?**

— ჯერ არ ვიცით დანამდვილებით. ვფიქრობ, ზღვის დონეზეც ვითამაშებთ და მაღალ მთაშიც. თუ კონმებოლი ორ ქალაქში თამაშის ნებას დაგვრთავს, კიტოსა და გუაკილში ვუმასპინძლებთ მეტოქეებს. მთავარია კარგი გუნდი გვყავდეს. როდესაც ბოლივიაზე ფიქრობთ და მას მაღალმთიან ქალაქებში თამაშს უკრძალავთ, მით ბევრს ართმევთ. კარგ გუნდს შეჩვეული გარემო სჭირდება. მე მინდა ყველაფერი გამოვიყენო, ეკვადორის გუნდს უკეთესი პირობები რომ შევუქმნა. მე დამპირდნენ, რომ ფეხბურთელები მთელი წლის განმავლობაში ჩემს განკარგულებაში იქნებიან. ისინი უქმეებზე თავიანთ კლუბებში ითამაშებენ, შუა კვირაში კი ჩემთან, მაღალმთიან რაიონში ივარჯიშებენ. მთაში თამაშს თავისი უპირატესობა გააჩნია. მეტოქე გუნდს იმაზე ფიქრი და ტვანის ძალლეტა სჭირდება, აკლიმატიზაციის პრობლემის მოსაგვარებლად როდის ჩამოვიდეს. ეს კი ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ პრობლემებს შეუქმნის. ჩვენ ისეთ გუნდს ვაყალიბებთ, ნებისმიერ ადგილზე რომ შეეძლოს თამაში.

**— თქვენი აზრით ლა პასში შესარჩევი თამაშების აკრძალვა სწორი არ იყო?**

— შესაძლოა სწ[illegible]ად არ ვმსჯელობ, მაგრამ თუ ეს გადაწყვეტილება სამედიცინო კვლევის მონაცემებს ემყარება, მაშინ მიზეზად სიმაღლე კი არ უნდა მოეტანათ, არამედ სხვა რამ. მაგალითად, ეთქვათ 42 გრადუს სიცხეში თამაშის მავნებლობაზე, ან ჰაფხულის პრობლემებზე. ისე უნდა მოხდეს, ფეხბურთისთვის როგორც იქნება უკეთესი.

**— თქვენი აზრი ბოსმანის საქმის შესახებ.**

— ის გულადი კაცი აღმოჩნდა, რომელიც ძლევამოსილთა მთელ დაჯგუფებას აღუდგა წინ. ადამიანური თვალსაზრისით, ბოსმანის წარმატება სასიამოვნოა, მაგრამ მთელ რიგ პრობლემებს კი გამოიწვევს.

**— ხესუს ხილი-ხილზე რას გვეტყვით?**

— ჩვეულებრივი კაცი არ არის. ჭკვიანია და მწვერვალზე ასასვლელად ყველა ღონეს ხმარობს. ხშირად, ყურადღების მისაპყრობად, ექსცენტრულად იქცევა. ერთხელ მითხრა, ხალხს გიჟი ვგონივარო, მაგრამ გიჟი არ არის. მან კარგად იცის, რასაც აკეთებს. პრესა-ტელევიზიასთან მუდმივი ომი აქვს გაჩაღებული. ჩვეულებრივ, გაზეთებში მადრიდის „რეალს" ორი-სამი გვერდი უჭირია, „ატლეტიკოს" ერთი, მაგრამ საკმარისია მან რაიმე თქვას, რომ ეს ერთი გვერდი სამამდე იზრდება. მე მომწონს იგი. ძლიერი პიროვნებაა. სამაგიეროდ, როგორც საფეხბურთო ხელმძღვანელი, ჩემი აზრით, დიდი ვერაფერი შვილია. ფეხბურთში მოთმინება და თანმიმდევრულობაა საჭირო, ხილი კი ძლიერ ფეთქებადია.

**— რა სხვაობაა სამხრეთ ამერიკასა და ევროპას შორის?**

— სამხრეთ ამერიკა ევროპას მსოფლიო ჩემპიონატებსა და საკონტინენტთაშორისო თასებში სჯობია. ფეხბურთელებითაც ევროპას სამხრეთ ამერიკა ამარაგებს. ზოგს ნელი ფეხბურთი უყვარს, ზოგსაც პრაქტიკული. მე პრაქტიკული ევროპული ფეხბურთი მიყვარს. ადრე ინდივიდუალიზმი მხიბლავდა, ახლა კოლექტიური თამაში მომწონს. არ მსიამოვნებს მოსეირნე ფეხბურთელების ცქერა, მე სისწრაფე მიყვარს.

**— ფიფამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. თქვენ ვის მიეცით ხმა?**

— ჩვენ სამი მოთამაშე უნდა დაგვესახელებინა. მე პირველ კაცად ვეა ჩავწერე — მისით აღფრთოვანებული ვარ. ის რაღაცით განსაკუთრებულია, მუდამ მაქსიმუმს გაიღებს ხოლმე. მესამე ლიტმანენი ვთქვი. იგი ხომ „აიაქსის" ნაწილია, ამ გუნდის წარმომადგენელი კი აუცილებლად უნდა დამესახელებინა. კიდევ კლინსმანს მივეცი ხმა. გოლის გატანის მისეული სტილი კიდევ სხვაა.

**— საკუთარ მომავალზე რაღას გვეტყვით?**

— ის არ არსებობს. ჩემი ნა[illegible]მავალი, პერუსთან ეკვადორის პი[illegible] თამაშია. იმედი მაქვს ამ მატჩის შედეგი გამოაჩენს მომავალს.



## დღეს ხვალ ზეგ

ჩემპიონთა, უეფას და თასების თასებზე პირველი ნახევარფინალური მატჩები

### უეფას თასი

სამშაბათი, 2 აპრილი

სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — ბორდო (საფრანგეთი)

მსაჯი: ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) — ბარსელონა (ესპანეთი)

მსაჯი: პირო (ბელგია)

### ჩემპიონთა თასი

ოთხშაბათი, 3 აპრილი

აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)

მსაჯი: ვაგნერი (უნგრეთი)

იუვენტუსი (ტურინი, იტ[illegible]) — ნანტი (საფრანგეთი)

მსაჯი: გალაჰერი (ინგლისი)

### თასების თასი

ხუთშაბათი, 4 აპრილი

დეპორტივო ლა კორუნია (ესპანეთი) — პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი)

მსაჯი: მერკი (ბელგია)

ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) — რაპიდი (ვენა, ავსტრია)

მსაჯი: პუსაინოვი (რუსეთი)


### ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით" შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი: 36-00-94, 36-65-00, 93-36-71

102
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

33-ე ტური. ბლექბერნი — ევერტონი 0:3; ლიდსი — მიდლსბრო 0:1; ქუინზ პარკი — საუთჰემპტონი 3:0; ტოტენჰემი — ქოვენთრი 3:1; უიმბლდონი — ნოტინგემი 1:0; ბოლტონი — მანჩესტერ სიტი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ | 32 | 20 | 7 | 5 | 60:31 | 67 |
| ნიუკასლი | 30 | 20 | 4 | 6 | 55:28 | 64 |
| ლივერპული | 31 | 17 | 8 | 6 | 60:27 | 59 |
| ასტონ ვილა | 32 | 16 | 8 | 8 | 47:31 | 56 |
| არსენალი | 32 | 15 | 9 | 8 | 44:28 | 54 |
| ტოტენჰემი | 31 | 15 | 9 | 7 | 43:31 | 54 |
| ევერტონი | 33 | 14 | 9 | 10 | 53:38 | 51 |
| ბლექბერნი | 32 | 14 | 6 | 12 | 47:39 | 48 |
| ნოტინგემი | 31 | 12 | 11 | 8 | 40:41 | 47 |
| ჩელსი | 32 | 11 | 12 | 9 | 37:35 | 45 |
| ვესტ ჰემი | 31 | 12 | 6 | 13 | 38:44 | 42 |
| ლიდსი | 29 | 11 | 6 | 12 | 35:42 | 39 |
| მიდლსბრო | 33 | 10 | 9 | 14 | 30:42 | 39 |
| შეფილდი | 32 | 9 | 8 | 15 | 43:51 | 35 |
| უიმბლდონი | 32 | 8 | 9 | 15 | 47:63 | 33 |
| მანჩესტერ სიტი | 33 | 7 | 10 | 16 | 27:50 | 31 |
| საუთჰემპტონი | 31 | 6 | 10 | 15 | 29:46 | 28 |
| ქუინზ პარკი | 33 | 7 | 6 | 20 | 31:50 | 27 |
| ქოვენთრი | 32 | 5 | 12 | 15 | 38:59 | 27 |
| ბოლტონი | 33 | 7 | 5 | 21 | 36:63 | 26 |

სატურნირო ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ პრემიერლიგიდან გავარდნა რეალურად ექვს კლუბს, მათ შორის ქინქლაძის „მანჩესტერ სიტისაც“ ემუქრება. მართლაც ძნელი სათქმელია, ვინ იქნება ის სამი მაჩანჩალა, გაისად პირველ დივიზიონში რომ ითამაშებს. ჩვენ, რასაკვირველია, „სიტის“ ბედი გვაღელვებს, ამიტომ გადავხედოთ გიოს გუნდისა და მისი კონკურენტების დარჩენილი თამაშების ნუსხას. ვინაიდან ინგლისში ჯერ კიდევ ბევრი გამოტოვებული მატჩია ჩასატარებელი და მათი თარიღები ჩვენთვის უცნობია, სია ქრონოლოგიურად არ არის დალაგებული.

„მანჩესტერ სიტი“ შინ ეთამაშება თანაქალაქელ „იუნაიტედს“, „შეფილდ უენსდეის“ და ბოლო ტურში „ლივერპულს“. ამის გარდა დარჩენილი აქვს ორი გასვლითი შეხვედრა: ბირმინგემში „ასტონ ვილასთან“ და ლონდონში „უიმბლდონთან“.

თავის მხრივ „უიმბლდონი“ „სიტის“ გარდა უმასპინძლებს „ქოვენთრის“, ოთხი მატჩი კი სტუმრად აქვს ჩასატარებელი: „ბლექბერნთან“, „მიდლსბროსთან“, „ვესტ ჰემთან“ და „საუთჰემპტონთან“.

ექვსეულიდან ყველაზე მეტი მატჩი დარჩა „საუთჰემპტონს“: მასპინძლობს „უიმბლდონს“, „მანჩესტერ იუნაიტედს“ და „ბლექბერნს“, ესტუმრება „ასტონ ვილას“, „ბოლტონს“, „ლიდსს“ და „ნიუკასლს“.

„ქოვენთრი“, ჩვენი აზრით „მანჩესტერ სიტის“ ყველაზე უშუალო კონკურენტი, შინ სამ თამაშს გამართავს — „ლიდსთან“, „ლივერპულთან“ და „ქუინზ პარკთან“, ასევე სამჯერ ითამაშებს სტუმრად: „უიმბლდონთან“, „ნოტინგემთან“ და მანჩესტერში „იუნაიტედთან“. საინტერესოა, რომ „იუნაიტედს“ ამ სეზონში შინ არ წაუგია, „ნოტინგემი“ კი მშობლიურ სტადიონზე მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

ბოლო ჟამს მოძლავრებული „ბოლტონი“ დარჩენილი ხუთი თამაშიდან ორში მასპინძელია — „ჩელსისთან“ და „საუთჰემპტონთან“; სამში კი სტუმარი — „არსენალთან“, „შეფილდთან“ და „ვესტ ჰემთან“.

და ბოლოს „ქუინზ პარკი“. შაბათს „საუთჰემპტონის“ განადგურებით (3:0) მან დაამტკიცა, რომ თუ გავარდა, ოღონდ კარების ბრახა-ბრუხით. ლონდონელი რეინჯერები შინ „ევერტონს“ და „ვესტ ჰემს“ უპირებენ გამწარებას, სტუმრად კი — „ქოვენთრის“, „ნიუკასლს“ და „ნოტინგემს“.

მოკლედ, ქინქლაძისა და ახლა უკვე ყაველაშვილის გუნდს ლიგაში დასარჩენად დიდი ბრძოლა უწევთ. არავინ იცის, რა მოხდება ბოლო ტურებში — ინგლისი ხომ იტალია, ესპანეთი და მითუმეტეს საქართველო არაა. იმედია, „სიტი“ თავს დააღწევს გავარდნას, მითუმეტეს რომ, ალბიონელი ჟურნალისტების ენით რომ ვთქვათ, მის რიგებში „შავი ღრუბლების გაფანტვის ცნობილი ოსტატია“.

## გერმანია

25-ე ტური. ჰამბურგი — ურდინგენი 0:0; კიოლნი — კაიზერი 0:1; ვერდერი — ლევერკუზენი 2:1; ბაიერნი — დორტმუნდი 1:0; აინტრახტი — მიონხენგლადბახი 0:2; შალკე — ფრაიბურგი 3:0; შტუტგარტი — ზანქტ პაული 1:1; ჰანზა — კარლსრუე 1:1; ფორტუნა — მიუნხენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 25 | 17 | 2 | 6 | 54:31 | 53 |
| დორტმუნდი | 24 | 15 | 6 | 3 | 60:26 | 51 |
| გლადბახი | 24 | 12 | 5 | 7 | 38:36 | 41 |
| შტუტგარტი | 25 | 9 | 10 | 6 | 49:46 | 37 |
| შალკე | 24 | 9 | 10 | 5 | 30:27 | 37 |
| ჰამბურგი | 24 | 8 | 10 | 6 | 37:33 | 34 |
| ფრაიბურგი | 25 | 9 | 6 | 10 | 23:29 | 33 |
| ლევერკუზენი | 23 | 7 | 10 | 6 | 27:20 | 31 |
| ჰანზა | 23 | 7 | 9 | 7 | 35:32 | 30 |
| მიუნხენი | 25 | 7 | 9 | 9 | 35:38 | 30 |
| კარლსრუე | 25 | 7 | 9 | 9 | 34:37 | 30 |
| ვერდერი | 25 | 6 | 12 | 7 | 25:30 | 30 |
| ზანქტ პაული | 24 | 6 | 8 | 10 | 32:38 | 26 |
| აინტრახტი | 25 | 6 | 8 | 11 | 34:48 | 26 |
| ფორტუნა | 25 | 5 | 11 | 9 | 26:40 | 26 |
| კიოლნი | 25 | 4 | 12 | 9 | 21:27 | 24 |
| კაიზერი | 24 | 4 | 12 | 8 | 21:30 | 24 |
| ურდინგენი | 25 | 2 | 11 | 12 | 22:39 | 17 |

## რუსეთი

მე-5 ტური. სპარტაკი — ალანია — 4:1, ტორპედო — როსტსელმაში 0:0, ტექსტილშჩიკი — ლოკომოტივი 0:0, ნოვგოროდი — ჩერნომორეცი 2:0, კრილია — ბალტიკა 3:1, კამაზი — ჟემჩუჟინა 4:0, ურალმაში — ცსკა 0:1, ლადა — როტორი 1:4, დინამო — ზენიტი 1:0

სპარტაკული დერბი არ შედგა. ოსებმა თამაშის წინ სახელი შეიმოკლეს და აწი მხოლოდ „ალანიად“ იწოდებიან. მატჩის პირველი ტაიმი ძირძველ სპარტაკელთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: კასიმოვის ჩაწოდებული კუთხური პაგაევმა გოლით დაამთავრა. მასპინძლებმა მძაფრად შეუტიეს. 31-ე წუთზე ევსეევმა მარცხნიდან ჩააწოდა და ნიკიფოროვმა ტექნიკურად ჩაუშვა ბურთი მეკარისგან შორეულ კუთხეში. სამ წუთში კეჩინოვის დარტყმული ხაპოვს ფეხებში გაუძვრა და სასწაულად არ შევარდა კარში. ორი წუთის შემდეგ კი იმავე კეჩინოვმა ახლო კუთხეში დაარტყა და ხაპოვმა მეტად ადვილი ბურთი გაუშვა. კიდევ ოთხ წუთში კეჩინოვი ერთ-ერთზე გავიდა და მესამე ბურთი გაიტანა, ტაიმის ბოლოს კი ციმბალარი მცველებს გაექცა და საჯარიმოს ხაზიდან მეოთხე გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში ვლადიკავკაზელებმა შეუტიეს, კანიშჩევის დარტყმა სპარტაკელთა მეკარე ფილიმონოვმა ფეხით მოიგერია. შემდეგ მანვე თედეევის ძლიერი დარტყმა აიღო. ბოლო 30 წუთში გუნდებმა ოთხჯერ მოარტყეს ბურთი ძელს, მაგრამ ანგარიშის შეცვლა ვერ მოახერხეს. მოკლედ, ჩემპიონი პირველად დამარცხდა.

შარშანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორ „ლოკომოტივს“ ხუთ თამაშში ერთი ბურთიც ვერ გაუტანია, თუმცა მისი მწვრთნელის იური სიომინის აზრით, საპანიკო არაფერია.

„კრილია“ აგებდა „ბალტიკასთან“ მას შემდეგ, რაც ნიზოვცევმა შეაგდო, მაგრამ ორეშნიკოვის, ავალიანის და აჯერიანოვის გოლებით დამაჯერებლად მოიგო.

„კამაზმა“ სასტიკად გადაუარა „ჟემჩუჟინას“. ზუბკოვმა, ევდოკიმოვმა და ორჯერ ბაბენკომ ოთხი გოლი გაიტანეს.

როგორც იქნა, ათამაშდა ვერეტენნიკოვ-ნიდერგაუსის დუეტი, რომელმაც შარშანდელ სეზონში ბევრი გუნდი გაამწარა. სწორედ მათი კარგი თამაშის წყალობით ვოლგოგრადელებმა სტუმრად გაანადგურეს ტოლიატის „ლადა“. ნიდერგაუსმა ორი გოლი გაიტანა, თითო ოლიუშინმა და ვერეტენნიკომ. ერთადერთი საპასუხო გოლი კი [illegible] ანგარიშზეა.

ცსკამ ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო და სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს. ერთადერთი გოლი მინკომ გაიტანა. თამაშის ბოლოს „ურალმაში“ შტურმზე გადავიდა, მაგრამ კონტრშეტევა გამოეპარა და არმიელებმა ბოლო წუთზე კინაღამ მეორე გოლიც გაიტანეს — ბურთი ძელს მოხვდა.

მოსკოვის „დინამომ“ სტადიონზე, სადაც სათხილამურო რბოლების გამართვა უფრო უპრიანი იქნებოდა, დაამარცხა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 4 | 0 | 1 | 8-5 | 12 |
| დინამო | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| ალანია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| კრილია | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| სპარტაკი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| როტორი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-2 | 9 |
| როსტსელმაში | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| ნოვგოროდი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-3 | 8 |
| ზენიტი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-4 | 7 |
| ჩერნომორეცი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-5 | 6 |
| ტორპედო | 5 | 1 | 3 | 1 | 3-5 | 6 |
| ბალტიკა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| კამაზი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| ტექსტილშჩიკი | 5 | 0 | 3 | 2 | 2-4 | 3 |
| ლოკომოტივი | 5 | 0 | 3 | 2 | 0-3 | 3 |
| ლადა | 5 | 0 | 3 | 2 | 3-8 | 3 |
| ურალმაში | 5 | 0 | 2 | 3 | 2-5 | 2 |
| ჟემჩუჟინა | 4 | 0 | 1 | 3 | 4-11 | 1 |

## ესპანეთი

34-ე ტური. ატლეტიკო — რეალი 1:2; ალბასეტე — ბარსელონა 0:1; სალამანკა — კომპოსტელა 1:0; ტენერიფე — ვალენსია 2:1; სოსიედადი — ბეტისი 1:1; სანტანდერი — ოვიედო 0:0; ხიხონი — რაიო ვალეკანო 3:1; სევილია — სარაგოსა 1:1; ესპანიოლი — მერიდა 3:0; სელტა — ვალიადოლიდი 1:1; დეპორტივო — ატლეტიკი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 34 | 22 | 6 | 6 | 60:23 | 72 |
| ბარსელონა | 34 | 19 | 10 | 5 | 59:29 | 67 |
| ვალენსია | 34 | 20 | 4 | 10 | 64:41 | 64 |
| ესპანიოლი | 34 | 16 | 11 | 7 | 47:28 | 59 |
| ბეტისი | 34 | 15 | 12 | 7 | 52:37 | 57 |
| ტენერიფე | 34 | 15 | 10 | 9 | 59:48 | 55 |
| რეალი | 34 | 15 | 9 | 10 | 63:47 | 54 |
| კომპოსტელა | 34 | 16 | 6 | 12 | 42:44 | 54 |
| დეპორტივო | 34 | 13 | 11 | 10 | 53:31 | 50 |
| სოსიედადი | 33 | 13 | 10 | 10 | 43:42 | 49 |
| სელტა | 34 | 10 | 12 | 12 | 38:41 | 42 |
| სანტანდერი | 34 | 10 | 11 | 13 | 37:52 | 41 |
| სარაგოსა | 34 | 9 | 12 | 13 | 40:48 | 39 |
| ოვიედო | 33 | 10 | 9 | 14 | 35:46 | 39 |
| ხიხონი | 34 | 10 | 7 | 17 | 43:47 | 37 |
| ვალეკანო | 34 | 10 | 7 | 17 | 38:59 | 37 |
| სევილია | 34 | 8 | 12 | 14 | 34:48 | 36 |
| ატლეტიკი | 34 | 8 | 12 | 14 | 31:46 | 36 |
| ვალიადოლიდი | 34 | 8 | 11 | 15 | 41:51 | 35 |
| ალბასეტე | 34 | 8 | 9 | 17 | 44:63 | 33 |
| მერიდა | 34 | 6 | 12 | 16 | 28:51 | 30 |
| სალამანკა | 34 | 6 | 9 | 19 | 41:64 | 27 |



ჰილს გამარჯვებას თვით შუმახერი ულოცავს

## ჰილმა ამჯერადაც გაიმარჯვა

შაბათს 30 მარტს, ოფიციალური საკვალიფიკაციო სესია მზიან ამინდში ჩატარდა. ბრაზილიელ მაყურებელთა გასახარად თავიდან ბარიკელო დაწინაურდა (საერთოდ „ჯორდან-პეჟოს“ ორივე პილოტმა კარგად იახპარეზა და პირველ ექვსეულში დაიკავა ადგილი), მაგრამ შემდეგ მას ჰილმა გადაასწრო და საუკეთესო დროც აჩვენა (1. 18, 111), ბრაზილიელი მას 0.-981 წამით ჩამორჩა და სტარტზე მეორე ადგილს დასჯერდა. სესიის მეორე ნახევარში ვილნევმა მესამე პოზიციის გაუმჯობესება სცადა, მაგრამ ბოლიდი ვერ დაიმორჩილა, უსაფრთხოების ზონაში გადავიდა, ბოქსებში წინა სპოილერის გარეშე დაბრუნდა. ბოლო წუთებში შუმახერმა რამდენიმე სწრაფი წრე გაიარა, მაგრამ მეოთხე ადგილს ვერც ის გასცდა. 107 პროცენტიანი ბარიერი ყველამ, მათ შორის დებიუტანტმა მარკეშმაც (მინარდი), გადალახა და კვირას სტარტზე პილოტები შემდეგი თანმიმდევრობით გამოვიდნენ:

ჰილი (1.18,111); ბარიკელო (1.19,092); ვილნევი (1.19,554); შუმახერი (1.19,474); ალეზი (1.19,484); ბრანდლი (1.19,519); ჰაკინენი (1.19,607); ბერგერი (1.19,762); ფრენცენი (1.19,799); ირვინი (1.19,951); სალო (1.20,000); ჰერბერტი (1.20,441); ვერსტაპენი (1.20,157); კულჰარდი (1.20, 167); პანი (1.20,426); კატაიამა (1.20, 427); როსეტი (1.20,440); დინიცი (1.20, 893); მარკეში (1.21,421); ლამი (1.21, 491); ბადოერი (1.23,174); მონტერმინი (1.23,254)

რბოლა წვიმიან ამინდში დაიწყო, რამაც ბევრ პილოტს შეუქმნა სირთულე, დებიუტანტმა მარკეშმა კი პირველსავე წრეზე დატოვა ტრასა. თავიდანვე ჰილი დაწინაურდა და მეორე წრეზე უკვე თითქმის 6 წამს (5,972) უგებდა მეორე ადგილზე მყოფ ვილნევს. ამან რბოლის პირველ ნახევარშივე გადაინაცვლა მაყურებლებში: 26-ე წრეზე სცადა ალეზისთვის გაესწრო, მაგრამ ვერ მოზომა, მოცურდა და ტრასის მიღმა აღმოჩნდა.

ჰილმა მხოლოდ ბოქსებში სტუმრობისას დაუთმო პირველობა ალეზის, მაგრამ ამანაც მალე გამოცვალა საბურავები და ჰილი კვლავ პირველ ადგილზე აღმოჩნდა.

ტრასა თანდათანობით გაშრა და რბოლის ტემპმაც იმატა. ბარიკელო, ალეზი და ჰილი თანდათანობით აუმჯობესებდნენ წრის გავლის დროს. ბრაზილიელი მესამე ადგილზე მყოფ შუმახერს წამოეწია და გაასწრო კიდეც, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა თავი არ შეირცხვინა და მომდევნო მოსახვევში კვლავ დაიბრუნა დაკარგული პოზიცია. ბარიკელომ კი ვერ გაითვალისწინა სველი ტრასის თავისებურება, მოცურდა, ნახნავში გაისეირნა და ბოქსებში ფეხით მოუწია დაბრუნება. 64-ე წრეზე მისი მანევრი მარტინ ბრანდლმაც გაიმეორა და „ჯორდანი“ ჩასათვლელი ქულების გარეშე დარჩა. ამასობაში ჰილმა შუმახერი ერთი წრით ჩამოიტოვა, წრეზე საუკეთესო დრო აჩვენა და პოდიუმზე გამარჯვებულის პრიზი და შამპანიური ფეხბურთის მეფის — პელეს ხელიდან მიიღო.

ალეკო ჭაბუკიანი

### ბრაზილიის დიდი პრიზი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

სან-პაულუ. „ინტერლაგოსი“
31 მარტი
რბოლის დისტანცია 71 წრე — 307,075 კმ

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | დ. ჰილი | (უილიამს-რენო) | 1:49.52,976 (167,679 კმ-სთ) | 10 ქულა |
| 2. | ჟ. ალეზი | (ბენეტონ-რენო) | ჩამორჩა 17,982 წამით | 6 ქულა |
| 3. | მ. შუმახერი | (ფერარი) | 1 წრით | 4 ქულა |
| 4. | მ. ჰაკინენი | (მაკლარენ-მერსედერსი) | 1 წრით | 3 ქულა |
| 5. | მ. სალო | (ტირელ-იამაჰა) | 1 წრით | 2 ქულა |
| 6. | ო. პანი | (ლიჟიე-მუგენ-ჰონდა) | 1 წრით | 1 ქულა |
| 7. | ე. ირვინი | (ფერარი) | 1 წრით | |
| 8. | პ. დინიცი | (ლიჟიე-მუგენ-ჰონდა) | 2 წრით | |
| 9. | ი. კატაიამა | (ტირელ-იამაჰა) | 2 წრით | |
| 10. | პ. ლამი | (მინარდი-ფორდი) | 3 წრით | |
| 11. | ლ. ბადოერი | (ფორტი-ფორდი) | 4 წრით | |
| 12. | მ. ბრანდლი | (ჯორდან-პეჟო) | 7 წრით | |

პირადი პირველობა (ორი ეტაპის შემდეგ): ჰილი — 20 ქულა; ვილნევი 6; ალეზი 6; ჰაკინენი 5; შუმახერი 4; ირვინი 4; ბერგერი 3; სალო 3; პანი 1

კონსტრუქტორთა პირველობა: უილიამს-რენო 26; ბენეტონ-რენო 9; ფერარი 8; მაკლარენ-მერსედესი 5; ტირელ-იამაჰა 3; ლიჟიე-მუგენ-ჰონდა 1

### „უილიამსს“ არა სჯერა

ორი წლის წინ, 1994 წლის 1 მაისს, იმოლაზე, სან-მარინოს [illegible] რბოლის დაიღუპა ბრაზილიელი ჩემპიონი აირტონ სენა. ამ ტრაგედიის მიზეზის დამდგენმა კომისიამ, რომელსაც იტალიელი ენრიკო ლორენტინი თავკაცობს, ახლახანს დაასკვნა, რომ სენას მანქანის საჭის ღერძი ისე გამცვდარა, რომ გადატყდა, რის გამოც ვირტუოზმა პილოტმა ვერ მოუხვია, ჯებირს შეასკდა და სული დალია. თუმც დასკვნა ოფიციალურად ჯერ არ გამოქვეყნებულა, სენას მაშინდელი გუნდის — „უილიამსის“ ტექნიკურმა შეფმა პატრიკ ჰედმა კატეგორიულად უარყო კომისიის მტკიცებანი, აქაოდა იმ რბოლის კომპიუტერული მონაცემები სულ საწინააღმდეგოს მოწმობენ, კომისიის დასკვნა კი იმიტომაც არ გვჯერა, დალეწილი მანქანა ჩვენთვის ჯერაც რომ არ გაუსინჯინებიაო.

**კვირას** მოტოციკლისტთა მსოფლიო პირველობაც დაიწყო მალაიზიის დიდი პრიზის გათამაშებით. სულ წლევანდელ ჩემპიონატში 15 ეტაპია.

500 კუბური სანტიმეტრიანი კლასის შეჯიბრი „ჰონდას“ ტრიუმფი გამოდგა. კუალა-ლუმპურის შა-ალამის ტრასაზე კვალიფიკაციაში ყველას აჯობა ახალი, ტყუპცილინდრიანი მანქანით მოასპარეზე ტაგიუკი ოკადამ (იაპონია). მეორე შედეგი აღმოაჩნდა მის თანაგუნდელ ლუკა კადალორას (იტალია), მესამე — ასევე ჰონდელს, 1994 და 1995 წლების ჩემპიონ მაიკ დუენს (ავსტრალია).

კვირას ერთის ნაცვლად ორი რბოლა მოეწყო. საქმე ისაა, რომ პირველი, რომელსაც კადალორა ლიდერობდა, მე-10 წრეზე წვიმის გამო შეწყდა.

მოეწყო ხელახალი სტარტი. წინ გაიჭრა დუენი, მაგრამ რბოლის ბოლოს მანქანამ უმტყუნა და მეხუთე ადგილზე დარჩა. გაიმარჯვა კადალორამ, მის კვალად კი ფინიშთან ალეშანდრუ ბაროში (ბრაზილია), კარლოს ჩეიკა (ესპანეთი) და „სუპერ-ბაიკიდან“ გადმოსული ამერიკელი სქოთ რასელი მივიდნენ. რაც შეეხება ოკადას, იგი მეორე წრეზე გავარდა.

### ბუქმეიქერებმა გამოიცნეს

შაბათს ლივერპულში, ეინთრის იპოდრომზე მსოფლიოს უცნობილესი სტიპლ-ჩეისი — დიდი ეროვნული გაიმართა. 27 ცხენს ოთხნახევარი მილი უნდა გაერბინა და თანაც 30 რთული წინაღობა გადაელახა.

1982 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ გაიმარჯვა ფავორიტმა „რაფ ქვესთმა“ (მხედარი მიქსი ფითსჯერალდი, მწვრთნელი ჯერი თრეისი), ვისი შანსებიც 7:1 იყო შეფასებული. მან თავის პატრონს ჯილდოდ 140 ათასი გირვანქა შესძინა. გამარჯვებულმა დოღის ბოლო ფურლონგზე იყოჩაღა და ფინიშთან ტანითა და კიდევ ერთი მეოთხედით მიასწრო ფრანგების ცხენ „ანკორ ან ფერს“. მესამე ადგილზე „სუპერიორ ფინიში“ გავიდა, მეოთხეზე — აუტსაიდერი „სერ პიტერ ლილი“. ფინიშთან სულ 17-მა ბედაურმა მიაღწია, დაიმტვრა და დაკლეს კი ერთადერთი.

დოღის შემდეგ მსაჯები, ე. წ. სთიუარდები დიდხანს სწავლობდნენ ფირს, რაკილა მოეჩვენათ, რომ „რაფ ქვესთმა“ ერთი პირობა გზა შეუკრა „ანკორ ან ფერს“. ეჭვი კარგა ხნის მსჯელობითაც ვერ გაიფანტა, მაგრამ დოღის შედეგი აღარ შეცვლილა.

ვასილ გუჩმაზაშვილი



### ტაისონი მაინც უკმაყოფილოა

მართალია, მაიკ ტაისონმა ფრენკ ბრუნოს გალახვისათვის 30 მილიონი ჩაიჭიბა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი უკვე 50 მილიონი მიიღო, მაგრამ რა ესმა, რომ ორგანიზატორებს წმინდა მოგებად 96 მილიონი დარჩენიათ, განაცხადა, თუკი ჩემი ამგვარად ძარცვა გაგრძელდება, კრივს უმალ თავს მივანებებ, ვიდრე ამ ხალხს თავს აბუჩად ავაგდებინებო.

არადა, ბრუნოს, ვინაც ხსენებულ შერკინებამდე ჩემპიონი იყო, ჰონორარი ხუთჯერ ნაკლები ერგო.

## აქეთური, იქითური და ასე შემდგომ და მისთანები

**ცურვა** ბრიტანელმა მარკ ფოსტერმა 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვის მსოფლიო მიღწევა — 24,07 წამი რომ დაამყარა, ჯილდოდ 10 ათასი გირვანქა მიიღო. ფაქტმა ერთობ ააფორიაქა ჟურნალი „სვიმინგ ველდ მეგეზინი“, რომელმაც გაქექ-გამოქექა და დაასკვნა, რომ მანამდე, ამერიკელთა ოლიმპიურ შესარჩევ შეჯიბრში ზანგ ბაირონ დევისს 100 მეტრზე ცურვისას საწყისი 50 მეტრი 0,02 წამით ნაკლებში დაუფარავს, მაგრამ ბოლოს მეოთხე ადგილზე დარჩენილა.

**მძლეოსნობა** ხუთშაბათს მიუნხენის სასამართლომ განიხილა ცნობილი გერმანელი სპრინტერი ქალის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის კატრინ კრაბეს სარჩელი და დაასკვნა, რომ მართალი ყოფილა გერმანიის მძლეოსნობის კავშირი, კრაბეს სადოპინგო მაქინაციების გამო 1992 წელს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია რომ მიუსაჯა, მაგრამ შემცდარა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (იააფ), 1993 წელს კრაბეს კიდევ ორი წელი რომ დაუმატა სასჯელად. სასამართლოს დაუდგენია, რომ კრაბეს შეუძლია იააფ-ს ზარალის საკომპენსაციოდ მართლაც მოსთხოვოს ერთი მილიონი მარკა, რაზეც ფედერაციის გენერალური მდივანი იშტვან დიულაი იხტიბარს არ იტეხს, აქაოდა, როგორ დაამტკიცებს კრაბე, რომ ერთწლიანი უქმობის შემდეგ მართლაც იშოვნიდა სპონსორს, მილიონს რომ მისცემდაო.

**ამერიკული ბურთაობა** ჩრდილოეთ ამერიკაში წესად აქვთ, პროფესიული გუნდი ქალაქს რომ გამოიცვლის, თიკუნს მაინც შეინარჩუნებს ხოლმე. ეს პრინციპი დაირღვევა ამ შემოდგომაზე, რაკილა კლივლენდი ვერ შეელია მობურთალ „ბრაუნზს“ (ყავისფერებს), ბოლტიმორში რომ გადადიან. კლივლენდს საუკუნის ბოლომდე ახალი „ბრაუნზი“ ეყოლება, ბოლტიმორელებმა კი ამ ქალაქიდან გადმობირებულ კოლექტივს „რეივენზ“ (ყორნები) დაანათლეს, რაკილა პოეტი ედგარ პო მათთან გარდაცვლილა.

**კრივი** ნიუ-ჯერზის (აშშ) მართლმსაჯულებამ კრივის მსოფლიო ფედერაციას (იბფ) უბრძანა, რომ საჩემპიონო სარტყელი ჩამოართვას სამხრეთაფრიკელ მძიმეწონოსან ფრანსუა ბოთას, ვინაც შარშან დეკემბერში კი გალახა გერმანელი აქსელ შულცი, მაგრამ მერე, თუმც დოპინგი აღმოუჩინეს, დისკვალიფიკაციის ნაცვლად 50 ათასი დოლარი ჯარიმა აკმარეს. ამგვარმა უსამართლობამ შულცის მფარველებს აჩივლებინა. სასამართლოს განჩინების თანახმად, პრეტენდენტი მაიქლ მორერი ბოთას კი არ უნდა შეეცილოს ჩემპიონობას, არამედ შულცს. უეჭველია, რომ ბოთა და იბფ ამას ვერ შეურიგდებიან და ბოლო განჩინებას გაასაჩივრებენ.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

უეფას თასი. ნახევარფინალის პირველი მატჩები
2 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სლავია — ბორდო | (2,5-1,35) | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| ბაიერნი — ბარსელონა | (1,7-1,7) | 1,45 | 2,7 | 4,2 |

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალის პირველი მატჩები
3 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აიაქსი — პანათინაიკოსი | (1,1-5,0) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| იუვენტუსი — ნანტი | (1,2-3,5) | 1,15 | 3,1 | 7,0 |

თასების თასი. ნახევარფინალის პირველი მატჩები
4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დეპორტივო — პარი სენ-ჟერმენი | (2,0-1,5) | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ფეიენოორდი — რაპიდი | (1,35-2,5) | 1,25 | 3,0 | 5,6 |

გერმანიის ჩემპიონატი. 26-ე ტურის მატჩები
4 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი — შალკე | 1,5 | 2,9 | 3,6 |
| შტუტგარტი — ჰანზა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ურდინგენი — კარლსრუე | 2,5 | 2,5 | 2,0 |

## ფსონები ევროთასების ალებაზე

### ჩემპიონთა თასი

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 1,7 |
| აიაქსი | 1,7 |
| ნანტი | 5,0 |
| პანათინაიკოსი | 7,0 |

### თასების თასი

| | |
|---|---|
| პარი სენ-ჟერმენი | 1,6 |
| დეპორტივო | 2,2 |
| ფეიენოორდი | 3,0 |
| რაპიდი | 5,5 |

### უეფას თასი

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1,8 |
| ბაიერნი | 1,8 |
| ბორდო | 3,0 |
| სლავია | 6,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 50 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (50 თეთრი).

**ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.**

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | 0-1 | 2-0 | | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | 0-0 | 0-2 | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | [illegible] | 1-0 | 4-1 | | 2-3 | 1-0 | 1-0 | [illegible] | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | ■ | 0-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | [illegible] | 1-1 | [illegible] | 0-1 | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | [illegible] | 1-2 | 0-0 | [illegible] | [illegible] | 0-4 | [illegible] | 4-1 | [illegible] |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | ■ | 1-1 | 1-2 | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 2-1 | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | 1-2 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 4-1 | | | 0-1 | 3-1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | 0-3 | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | 2-0 | 1-2 | 1-4 | | 2-4 | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | 1-3 | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | 1-2 | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | | 0-3 | | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-1 | ■ | | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 2-3 | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | 1-3 | 2-1 | | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | 0-1 | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | 1-2 | | 4-2 | ■ | | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | | 0-0 | 0-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | 0-0 | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-0 | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 2-0 | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | | 0-1 | 2-0 | | | | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | 1-6 | 0-2 | | 1-1 | | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | 1-0 | 1-2 | | 2-0 | | 3-2 | | 2-0 | 1-4 | | 4-2 | | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | | 6-3 | |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | | | | | 2-4 | 4-1 | 1-1 | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | 0-2 | ■ | 0-1 | 3-0 | | | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | | 0-3 | 2-1 | | | 2-0 | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | | 2-0 | 1-1 | | | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | | 0-0 | 2-1 | 2-2 | | 5-1 | | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | | ■ | 3-0 | 1-1 | | | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | | ■ | 1-0 | | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | 0-1 | 0-1 | ■ | 2-0 | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | | | 0-1 | 0-3 | 0-2 | | 1-1 | 2-1 | | 3-2 | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | 1-1 | | 1-2 | | 2-0 | 3-0 | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | | 2-0 | | | 2-3 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | 2-1 | 1-0 | | 2-2 | | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 0-0 | | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | ■ | 0-0 | | 3-3 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-2 | 3-0 | | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | | ■ | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | 0-1 | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | | ■ | 0-0 | 1-0 | 3-0 | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | | ■ | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | | 2-1 | ■ | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | | 0-1 | | 2-1 | ■ | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | 2-1 | ■ | 3-1 | 1-0 | | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | 2-3 | | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | 1-1 | | 0-3 | 0-1 | | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | | 1-2 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | | 2-1 | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | | | 3-1 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | 0-3 | 1-0 | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | 1-1 | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | 2-1 | | 2-3 | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | 0-2 | 1-0 | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | 2-2 | ■ | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 2-4 |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | 2-2 | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | 0-1 | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | 2-2 |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | 1-0 | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | ■ | 3-1 | | 2-0 | | | 3-0 | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-2 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | 3-0 | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | 2-0 | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | 2-3 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | 0-1 | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | 2-3 | 2-2 | | 3-1 | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | 4-2 | 0-1 | 2-0 | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | 0-3 | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-0 | 3-3 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

# „კლასიკოსები“ ოთხ ლიცენზიას დასჯერდნენ

## ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

მერაბ რატიშვილი

ბუდაპეშტიდან



28 მარტს გაიმართა ფინალური შეხვედრები ხუთ წონით კატეგორიაში.

ამ დღეს დიდი სკანდალი მოხდა 82 კგ წონის ფინალში. თურქი ერლიქაია მთელ შეხვედრას 2:0 უგებდა უნგრელ ფარკაშს. დამთავრებამდე 20 წამით ადრე უნგრელმა დაატრიალა მეტოქე, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ თურქის ფეხებს ხელებით შეეხო, რაც, მოგეხსენებათ, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში არ შეიძლება. შეხვედრა 2:2 დამთავრდა, ხოლო მსაჯებმა უპირატესობა ფარკაშს მიანიჭეს. თურქებმა პროტესტი შეიტანეს, მოიგეს და ჩემპიონად ერლიქაია გამოცხადდა. ახლა უნგრელებმა იჩივლეს. საათნახევრიანი ბჭობის შემდეგ სამდივნომ [illegible] დეოფირი, მაგრამ ფარკაშის სასარგებლოდ მაინც ვერაფერი აღმოაჩინა და ერთხელ შეცვლილი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა. მწვრთნელები ფარკაშს ეუბნებოდნენ, დაჯილდოებაზე საერთოდ ნუ გახვალო, მაგრამ უნგრელი ოლიმპიური ჩემპიონი კაცურად მოიქცა, კვარცხლბეკზეც ავიდა და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალიც დიდი ოვაციების ფონზე ჩაიბარა.

ახლა კი 29-30 მარტს მომხდარი ამბების შესახებ.

52 კგ. ერიკ ხაჩატუროვს პირველსავე წრეში ერთ-ერთი ფავორიტი, სომეხი არმენ ნაზარიანი შეხვდა. მოულოდნელი არაფერი მომხდარა, ნაზარიანმა 6:1 მოიგო. მეორე წრეში ხაჩატუროვი ერთ ხანს [illegible] გებდა ლიტველ რუსლან ვართანოვს, [illegible] მეტოქემ მოგვერდი გაუკეთა. შე[illegible] ერიკმა ჩოქბჯენში ერთი ქულა აიღო. ბოლო წუთზეც შეასრულა ილეთი, მაგრამ მსაჯმა ჩათვალა, რომ ხაჩატუროვი ფეხში შევიდა და გდება არ შეაფასა. 5:4 ვართანოვმა მოიგო, ხოლო ჩვენი ფალავანი ტურნირს გამოეთიშა და 26 მონაწილეს შორის მე-20 ადგილი დაიკავა.

62 კგ. ამ ნაკადში კობა გულიაშვილმა ქართველთაგან საუკეთესო შედეგს მიაღწია. მან ექვსი წრე გაიარა, ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა და საბოლოოდ მე-6 ადგილზე გავიდა.

კობამ ლატვიელ იგორს ივანოვსს 2,55 წუთში 11:0 სძლია. მეორე წრეში კი უკრაინელ გრიგორი კომუშენკოს დაეჭიდა. შეხვედრა საცქერლად არცთუ კარგი იყო. მეტოქეები დაცვაზე იყვნენ გადასული და ამისთვის თავიდან ორივენი თითოჯერ გააფრთხილეს. ჩოქბჯენშიც ვერცერთმა ივარგა. როცა კობა მეორედ ჩასვეს ჩოქბჯენში, კომუშენკომ სწორედ მაშინ აიღო ტრიალით ის ორი ქულა, რომელმაც მას საბოლოო გამარჯვება მოუტანა. დამატებით დროში უკრაინელი კიდევ ერთხელ [illegible]რთხილეს, მაგრამ გულიაშვილმა ქუ[illegible]აინც ვერაფრით აუღო.

კობას მომდევნო მეტოქეს, ლიტველ რემიგიუს გუსტასს ჭიდაობა ხომ არ უნდოდა და არ უნდოდა, როცა გააფრთხილეს, არც ჩოქბჯენში მოისურვა წესიერად ჩადგომა. ამისთვის იგი ერთი ქულით დააჯარიმეს. გულიაშვილმაც არ დააკლო ხელი — ზედიზედ სამჯერ დაატრიალა — 8:0. გუსტასმა მეორე გაფრთხილებასაც გამოკრა ხელი და ჩვენმა მოჭიდავემ დამთავრებამდე 2,20 წუთით ადრე 10:0 მოიგო.

იტალიელ ნიკოლა აბრეშას კობამ თავიდანვე შეუტია და მე-10 წამზე 3:0 დაწინაურდა. მალე იტალიელი გააფრთხილეს, გულიაშვილმა ერთხელ დაატრიალა და შემდეგ მშვიდად დაიცვა თავი — 5:0. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კობას ლიცენზია უკვე განაღდებული ჰქონდა.

30 მარტის დილას გულიაშვილი ბრინჯაოს მედლისთვის აგრძელებდა ბრძოლას. პირველი ამ გზაზე ბელარუსი იგორ პეტრენკო გადაეყარა. კობამ კისრულით ერთი ქულა აიღო და იქვე ჩოქბჯენიდან მეტოქე დაატრიალა. შემდეგ დგომში პეტრენკოს უკნიდან მოექცა და იქამდე არ შეეშვა, სანამ ნახევარი ხალიჩა არ მოარბენინა და ძირს არ დააგდო. ქართველი კვლავ შეეცადა ტრიალის გაკეთებას, მაგრამ ბელარუსი უშლიდა — ფეხით კობას ფეხი ეჭირა. მსაჯებს ეს არ გამორჩათ და პეტრენკო ორი ქულით დააჯარიმეს. შეხვედრა მოგებული იყო, როცა ბელარუსმა ჩვენებური ჩოქბჯენში ჩაიყვანა და მხოლოდ პრესტიჟის ქულა აიღო.

მეექვსე წრეში, გულიაშვილი — მხითარ მანუკიანს (სომხეთი) შორის მოგებული საღამოს მესამე ადგილისთვის იჭიდავებდა. წინა „სარბიელიდან“ გეხსომებათ, ქართველებს ამგვარი შეხვედრები ცუდად რომ გვქონდა დაცდილი — პაპაშვილს, მელელაშვილს და გოგიტიძეს ხელი მოეცარათ. ჩვენთვის სამწუხარო ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა. თავიდან კობა გააფრთხილეს. მერე სომეხმა ხელში აიყვანა და ზურგსუკან გდებით ერთი ქულა აიღო. მანუკიანის გაფრთხილებისას კობამ ივარგა — ჩოქბჯენიდან მეტოქე წამოსწია და გადაატრიალა — 2:1. გულიაშვილი ერთხელაც ცდილობდა ტრიალის გაკეთებას, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა — მეტოქე ხიდურამდე ბოლომდე ვერ გადაიყვანა, ხოლო სომეხი რაღაც სასწაულით მდგომარეობიდან გამოძვრა და ჩვენებურს ზემოდან მოექცა. გვერდითმა მსაჯმა ორივე მეტოქეს 2-2 ქულა მისცა, შუამავალმა [illegible] მხოლოდ მანუკიანს შეუფასა გარჯა ორი ქულით. იგი 3:2 დაწინაურდა და შეხვედრაც ასე დასრულდა. კობამ, შეგახსენებთ, შეჯიბრება მე-6 ადგილით დაასრულა.

74 კგ. გული მოგიკვდება, გიორგი ჯინჭველაშვილს რომ შეხედავ. ბიჭს ადამიანის სახე აღარ ადევს და სულ თავ-ბედს იწყევლის. პირველ რიგში კი საკუთარ თავს ადანაშაულებს — ერთი ქულა რომც ამეღო, ლიცენზია ჯიბეში მექნებოდაო. ახლა კი რა მოხდა:

29 მარტს, საღამოს შეხვედრების შემდეგ ამ წონაში 27 ფალავნიდან ბრძოლას 9 შემორჩა. ამათ დროებით დავანებოთ თავი და გავარდნილებს მივხედოთ. ასეთი 18 იყო, მათ შორის გოგიტაც. ადგილების განაწილებისას უპირველესად უპირატესობა ენიჭება ე. წ. პოზიციურ ქულებს (წმინდა მოგება — 4 პოზიციური ქულა, ქულებით მოგება — 3 ქულა, ქულებით წაგება — 1 ქულა, წმინდად წაგება — 0 ქულა). ჯინჭველაშვილს, ზემანს (ჩეხეთი), ბატკის (სლოვაკეთი) და კონსტანტინს (რუმინეთი) 8-8 პოზიციური ქულა ჰქონდათ. ამის შემდეგ ითვლება ყველა შეხვედრაში დაგროვილ ქულათა ჯამი. ბატკის 13 ჰქონდა, კონსტანტინს — 14, ჯინჭველაშვილსა და ზემანს — 18-18. [illegible] უპირატესობა იმას მიენიჭებოდა, ვისაც ნაკლები ქულა ექნებოდა გაცემული (ჯინჭველაშვილი — 14, ზემანი — 23). მაგრამ ფილა ყოველწლიურად ცვლის წესებს და ახალი კანონი შემოუღია: უპირატესობა იმისია, ვისაც უფრო მეტი მაღალფასიანი ქულები აქვს დაგროვილი მთელი ტურნირის მანძილზე. ზემანს სამი 3-ქულიანი გდება ჰქონდა შესრულებული, ჯინჭველაშვილს — ერთი. ამიტომაც მე-10 ადგილზე ჩეხი გავიდა, ხოლო ჩვენი მოჭიდავე მე-11-ზე. ვგონებ, ამ რებუსის ამომხსნელისთვის იოლი მისახვედრი იქნება, თუ გოგიტა ერთ ქულას მაინც აიღებდა (ვთქვათ მოიგებდა არა 4:0-ს, არამედ 5:0, ანაც წააგებდა არა 1:4, არამედ 2:4), დაუგროვდებოდა 19 და ზემანს უკან მოიტოვებდა.

რჩებოდა კიდევ ერთი შანსი. უკრაინელი არტურ ძიგასოვი რუს მნაცაკან ისკანდარიანთან მარცხის შემთხვევაში 8 პოზიციური ქულით ამთავრებდა შეჯიბრს. თუკი იგი წაგების შემთხვევაში 12 ქულას დააგროვებდა (თუნდაც 12:20 წაეგო), ჯინჭველაშვილსაც უსწრებდა და ზემანსაც, მაგრამ ისკანდარიანი (მსოფლიოს ჩემპიონი) ის მოჭიდავე არაა, ვინმეს 12 ქულას რომ გაატანს. სავარაუდო იყო, რომ რუსი სომეხი მოუგებდა უკრაინელს და ათეულში ზემანიც და ჯინჭველაშვილიც მოხვდებოდნენ, ძიგასოვი — ვერა.

კეთილი, მაგრამ თვლა უკრაინელებმაც ხომ იციან? რა მოხდა ამის შემდეგ, იმის მტკიცებას ჩემს თავზე ვერ ავიღებ. იმას ვიტყვი, რაც დავინახე — ისკანდარიანი არც კი განძრეულა, ისე წააგო შეხვედრა ძიგასოვთან. რა ქნეს რუსებმა და უკრაინელებმა, მოილაპარაკეს? საქმეში „ხელის ჭუჭყიც“ ჩარიეს? ეს კაცმა არ იცის, მაგრამ ძიგასოვმა რომ ლიცენზიის საქმე ამ მოგებით გაიჩარხა, ფაქტია. თანაც, ისკანდარიანს ლიცენზია უკვე მოპოვებული ჰქონდა, ხოლო ბრინჯაოს მედალს შეიძლება შეელიო კაცი, თუკი „ძალიან გთხოვეს“.

ასე დარჩა გოგიტა ულიცენზიოდ. არადა მან ტურნირი ორი ბრწყინვალე მოგებით დაიწყო: ბოსნიელ ისლამ სადიკაისთან (11:0) და ავსტრიელ ანტონ მარშალთან (4:0). ამას მოჰყვა მარცხი თურქ ნაზმი ავლუჯასთან (1:4), რომელიც ისე იყო სპეციალური კრემით გაზეთილი, რომ კაცი ხელს ვერ მოკიდებდა. ჯინჭველაშვილმა მსაჯს შეხვედრის შეჩერება და თურქის ტანის გაწმენდა მოსთხოვა, მაგრამ არბიტრმა ყურიც კი არ შეიბერტყა. შვედ ტორბიორნ კორნბაკს გოგიტა 2:0 უგებდა, მაგრამ ზუსტად ერთი წამით (როგორც თავად მითხრა) გაითიშა და შვედმა ჯერ სამქულიანი ილეთი გაუკეთა და იქვე ბეჭებზე დააწვინა. სხვათა შორის, სხვა ქვეყნის (ალბათ ხვდებით რომელი) ფალავნები ბეჭებზე თუ იმდენ ხანს გაჩერდნენ, რამდენ ხანსაც ჯინჭველაშვილი გაჩერდა, შეხვედრას არ აჩერებენ. მაგრამ ყველაფერი უბედურება ხომ ქართველებს უნდა დაგვემართოს: შეეხო თუ არა გოგიტა ხალიჩას ბეჭებით, მსაჯმა წამსვე ჩასტვინა. შემდეგ კი მოხდა ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ...

90 კგ. ვინ ვინ, და, თენგიზ თედორაძე, ჩვენი ყველაზე გამოცდილი და ტიტულოვანი ფალავანი თუ ლიცენზიის გარეშე დარჩებოდა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა. ეს სენსაცია უნგრელ ნანდორ გელენეშისთან შეხვედრით დაიწყო. თავდაპირველად თენგო ორჯერ გააფრთხილეს, მაგრამ მის გაუვალ დაცვას უნგრელმა ვერაფერი მოუხერხა. შემდეგ გელენეში ჩაიყვანეს ჩოქბჯენში და მატჩის ერთადერთი ქულა აქ გაკეთდა — უნგრელი ჩოქბჯენიდან წამოდგა, რაშიც ერთი ქულა მიიღო. დამატებით დროში გელენეში ჭიდაობას გაურბოდა, რის გამოც სამჯერ გააფრთხილეს. თედორაძემ სამივეჯერ ჩოქბჯენის ნაცვლად დგომში ირჩია ჭიდაობის გაგრძელება. როგორც თავად თქვა, ნაოპერაციევი დამტკივანი მხარი გამიხუზებია და ჩოქბჯენში ტრიალის გაკეთება უჭირდა. სამწუხაროდ, თენგომ ვერც დგომში აიღო ქულები და 0:1 დამარცხდა.

მეორე წრეში თედორაძე სომეხ ჩოლაკ ეგიჩიანს შეხვდა, რომელიც მანამდე ექს-ჩვენებურმა გოგი კოღუაშვილმა (რუსეთი) გაანადგურა. სომეხმა მე-20 წამზე 2:0 წაიყვანა და თენგოც გააფრთხილებინა, ჩოქბჯენში კი ვერ იხეირა. სამაგიეროდ დგომში გადასვლისთანავე კისრულით სამი ქულა მიითვალა. ეგიჩიანი შეტევებს აგრძელებდა, თედორაძემ ისლა მოახერხა, რომ ბოლოსკენ სომეხი ხალიჩიდან გააქცია, მანამდე კი ჩოქბჯენში კონტრილეთით ორი ქულა აუღო. ეგიჩიანმა 9:3 მოიგო, თედორაძე კი მე-18 ადგილზე ულიცენზიოდ დარჩა.

მძიმე წონა. ხვიჩა ქორიძემ თავიდან ეშმაკობით აჯობა ბულგარელ ნიკოლაი დუკოვს. ბულგარელმა ილეთის გაკეთება გადაწყვიტა, ქორიძემ აკალა და ბოლოში ზემოდან მოექცა — 1:0. შემდეგ ჩვენებური ორჯერ ჩაიყვანეს ჩოქბჯენში, მაგრამ დუკოვმა ტრიალი ვერ გააკეთა. დამატებით დროში ხვიჩა კიდევ ერთხელ გააფრთხილეს და დამთავრებამდე 1,06 წუთით ადრე ბულგარელმა ორქულიანი ტრიალი შეასრულა. 15 წამით ადრე დუკოვი ჩასვეს ჩოქბჯენში. ქორიძემ იგი ხიდურამდე თითქმის მიიყვანა, მხატვრულად რომ ვთქვათ, მილიმეტრები დააკლდა, მაგრამ სწორედ ამ მანძილის გასავლელად (რაც ორ ქულას მოუტანდა), ქართველ ფალავანს არც დრო ეყო და არც ჯანი.

ქორიძე მეორე წრეშიც 0:2 აგებდა იუგოსლაველ მილან რადაკოვიჩთან, მაგრამ ძირითადი დროის დამთავრებამდე 30 წამით ადრე მეტოქე აიყვანა და ჰაერში ამოატრიალა, რითაც ანგარიშიც გაათანაბრა და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა. იქ მეტოქეები თითოჯერ აღმოჩნდნენ ჩოქბჯენში, მაგრამ უშედეგოდ. შეხვედრა 2:2 დამთავრდა, მაგრამ გამარჯვება ქორიძეს მიეკუთვნა, რადგან მას ორქულიანი გდება ჰქონდა გაკეთებული (მეტოქეს ორი თითოქულიანი), თანაც ბოლოს.

ფინელ იუჰა აჰოკასისთან კი ქორიძე წმინდად დამარცხდა და შეჯიბრება მე-14 ადგილზე დაასრულა.

30 მარტს, ისევე როგორც 28-ში, დიდი და მცირე ფინალები კვლავ საქართველოს წარმომადგენლების გარეშე ჩატარდა.

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 37 ქვეყნის 251 მოჭიდავემ. თითოეულ წონაში ათეულში შესულმა ათლეტებმა თავიანთ ქვეყნებს ოლიმპიური ლიცენზიები მოუტანეს. ლიცენზიებს 26 ქვეყნის წარმომადგენლები დაეპატრონენ. მათი რაოდენობა ასე განაწილდა:**

რუსეთი 10, ბელარუსი 8, თურქეთი 6, პოლონეთი 6, სომხეთი 6, ბულგარეთი 6, უკრაინა 6, რუმინეთი 5, ფინეთი 5, შვედეთი 5, გერმანია 5, საქართველო 4, უნგრეთი 4, საბერძნეთი 4, იტალია 2, ისრაელი 2, აზერბაიჯანი 2, ლიტვა 2, ესტონეთი 2, საფრანგეთი 2, მოლდოვა 2, ჩეხეთი 2, ლატვია 1, იუგოსლავია 1, შვეიცარია 1, ნორვეგია 1.



# სალუქვაძე მესამეა

## ევროპის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში

ბუდაპეშტშივე, „ნეპშტადიონის“ ოლიმპიურ დარბაზში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ქართველი მსროლელი ქალები ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე და დარეჯან დუმბაძე მხოლოდ ერთ სახეობაში — პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მონაწილეობენ.

ეს შეჯიბრება 30 მარტს გაიმართა. დილისით, წინასწარ სროლებში სალუქვაძემ 385 ქულა დააგროვა. ასეთივე შედეგი კიდევ ორს — ხორვატ სკოკო-კოვაჩევიჩსა და რუს კლოჩნევას ჰქონდათ. ამ სამეულს ერთი ქულით გაუსწრეს დანიელმა სიუზან მეიერჰოფმა და იუგოსლავმა იასნა სეკარიჩმა. 8 საუკეთესო შედეგის მქონე მსროლელი ფინალში გავიდა.

ნინო უჩაძეს 32-ე შედეგი ჰქონდა — 374 ქულა, ხოლო დარეჯან დუმბაძემ 55-ე ადგილი დაიკავა — 366 ქულა. სულ შეჯიბრებაში 67 მსროლელი მონაწილეობდა.

პარალელურად მიმდინარეობდა გუნდური ასპარეზობაც. საქართველოს გუნდი მე-9 ადგილზე გავიდა (1125 ქულა). ჩემპიონი გახდა რუსეთი (1140). შემდეგ მოდიან უკრაინა (1137) და ალბანეთი (1135).

ფინალი იმავე საღამოს გაიმართა. იგი ათი გასროლიდან შედგებოდა. მეორე გასროლის შემდეგ სალუქვაძე მეორე ადგილზე გადავიდა და მე-6 გასროლამდე სტაბილურად ინარჩუნებდა ამ ადგილს. ლიდერობა კი ოლგა კლოჩნევამ ჩაიგდო ხელში. მე-6 გასროლა ნინოს არ გამოუვიდა — 9,1 ქულა, არც მეშვიდე — 9,3. იგი მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა და ბოლო ცდამდე ამ ადგილას იყო. დანიელი მეიერჰოფი 0,6 ქულით უსწრებდა ნინოს. ბოლო ცდაზე მეირჰოფმა 8,3 (!) ქულა გააკეთა, სალუქვაძემ — 10, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩვენმა მსროლელმა ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. 10 ცდის შემდეგ სეკარიჩსა და კლოჩნევას ტოლი ქულები დაუგროვდათ. დაინიშნა დამატებითი ერთი სროლა. იუგოსლაველმა 10,6 აიღო, მისმა ქომაგებმა კი ტაში დასცხეს (რაც არ შეიძლება, როცა სხვა მსროლელი კიდევ ესვრის), და მომზადებულ რუსს ხელი შეეშალა. მას ახლიდან მოუწია კონცენტრირება — მისი შედეგი 9,2 იყო. საბოლოო სამეული ასე გამოიყურება:

1. იასნა სეკარიჩი (იუგოსლავია) 486,3
2. ოლგა კლოჩნევა (რუსეთი) 486,3
3. ნინო სალუქვაძე 484,9

ნინო სალუქვაძე: „დაახლოებით ასეთ შედეგს ველოდი, თუმცა აღმოჩნდა, რომ მეტის მიღწევაც შემეძლო. უკმაყოფილო ვარ ფინალის მე-6 და მე-7 ცდებით. ისე, როცა სეზონი ახალი დაწყებულია, ასეთი შედეგი ცუდი არ არის. კარგია, რომ საპრიზო ადგილი ავიღე“.

## ქართული [illegible] «მეტეხში»

ქართველები კიდევ ერთი ჩვენთვის „უცხო ხილის“ მომსწრენი გავხდით: 30 მარტს სასტუმრო „მეტეხის“ ავსტრიულ ბარში ჩატარდა საქართველოს ღია ჩემპიონატი ბუნიკობანაში, უცხოელები დარტსს რომ ეძახიან და ჩვენშიც აქამდე ასე რომ იწოდებოდა. ჩემპიონატი ირლანდიური ლუდის „გინესის“ პრეზენტაციას დაემთხვა. პირველობაში მონაწილეობა 13 გუნდმა მიიღო. თითოეულ გუნდში სამ-სამი მებუნიკე იყო, ისინი ორ ჯგუფად დაყვეს, თითო ჯგუფიდან ორი გუნდი გადიოდა ნახევარფინალში. ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ გუნდს შეეძლო, თუკი 10 ლარს გადაიხდიდა. შეგროვებული თანხა „კლინიკ-კლოუნებს“ — კინომსახიობთა თეატრის მსახიობებს გადაეცათ, რომლებიც ბავშვთა საავადმყოფოებში დადიან და უანგაროდ აკეთებენ ავადმყოფი ბავშვების გახალისებისა და სულიერი გაჯანსაღების საქმეს.

პრიზები — სამი დიდი ბრინჯაოს ბუნიკი — გია ჯაფარიძემ უსასყიდლოდ დაამზადა.

საქართველოს ჩემპიონატი ღიად აქციეს ამერიკისა და ინგლისის საელჩოების წარმომადგენლებმა.

ხელგაუწაფავი ქართველები ბევრს სცოდავდნენ და შეჯიბრიც ძალზე გაიწელა, მაგრამ იმედია, ამ სპორტსაც გაუჩნდებიან ჩვენში ჭეშმარიტი გულშემატკივრები, მით უმეტეს, რომ ბუნიკობანა და ლუდი განუყოფელია, ლუდი კი ქართველებს რომ უყვართ, ეს არავისთვის საიდუმლო არ არის.

ერეკლე ძიძილაშვილი

## რუსული სრიალი გუდაურში

29 მარტს გუდაურში დამთავრდა რუსეთის ღია ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში, რომელიც სუპერ-გიგანტსა და სწრაფდაშვებაში ჩატარდა.

კაცების სუპერ-გიგანტში რუსეთისა და საერთაშორისო შეჯიბრის ჩემპიონი ანდრეი ფილიჩკინი გახდა, ქალებში კი — სვეტლანა გლადიშევა.

სწრაფდაშვებაში რუსეთის პირველობა დენის ჩელოვეჩიკოვმა მოიგო, საერთაშორისოში პირველი დიმიტრი პრიხოდჩენკო იყო. ამავე სახეობაში საერთაშორისო შეჯიბრის გამარჯვებული ანა ლარიონოვა გახლავთ, ქვეყნის ჩემპიონობა კი გლადიშევამ მოიპოვა.





ფიჯურ-ზელანდიური სალამ-ქალამი

# მსოფლიო თასის წინა, ექსპერიმენტული

ჰონკონგის XXI შვიდკაცა საგაისო, მეორე მსოფლიო თასის გენერალური რეპეტიცია იყო. რაკი ორგანიზატორები იმ აზრზე დადგნენ, რომ ტრადიციული ფორმატი — რვა სამ-სამგუნდიანი ქვეჯგუფი მოძველდა, ახალი — ირაციონალური შეიმუშავეს: 24 მონაწილე ექვს ჯგუფად დაყვეს და შეჯიბრიც ერთი დღით განავრცეს — ტრადიციულ შაბათ-კვირას პარასკევი საღამოც დაუმატეს. თასისთვის მებრძოლი გუნდებიც ულტრა-თანამედროვე ალგორითმით შეირჩა: ჯგუფების გამარჯვებულებს დაემატა მეორე ადგილზე გასულთაგან ორი უკეთესი, რამაც ტურნირს ეშხი და სიმწვავე ნამდვილად შემატა.

თუ რეპეტიციაა, რეპეტიცია იყოსო და პირველად ტურნირის ისტორიაში ხუთი ერის პირველობის უკლებლივ ყველა მონაწილემ ჰონკონგში ნამდვილი ნაკრები მიავლინა. რა თქმა უნდა, კალში არ დარჩენილან შვიდკაცის ჯადოქრები — ფიჯი, ტონგა და სამოა. ახალმა ზელანდიამ ხომ სულ სუპერ-გუნდი შეკრიბა: არ იკმარა შარშანდელი შეჯიბრის რვა ჩემპიონი, მათ შორის ჯონა ლომუც, რომელიც ჰონკონგს ახლად შერთული ცოლითურთ ეწვია და კიდეც დაიქადნა, ვიდრე გუნდში მოვხვდები, ერთ შვიდკაცასაც არ გამოვტოვებ, ვინაიდან, აქ, ჰონკონგში შედგა ჩემი საერთაშორისო ნათლობაო, — და 1994 წლის საუკეთესო მოშვიდკაცე გლენ ოზბორნი და ექს-ფიჯელი ვაისაკე მასირევაც აიყვანა. სამაგიეროდ, სუპერ-12-ის გადამკიდე ავსტრალიელმა და სამხრეთაფრიკელმა პროფესიონალებმა, ზელანდიელთაგან განსხვავებით, საშვიდკაცოდ ველარ მოიცალეს.

პარასკევ საღამოს გუნდებმა თითო თამაში გამართეს, მაგრამ ერთი შემზარავი ანგარიში მაინც აღინუსხა: ზელანდიამ 75:0 დაანგრია შრი-ლანკა, ველინგთონელმა ქრისთიან ქალენმა კი ტურნირების რეკორდი დაამყარა — ერთბაშად შვიდი (!) ლელო გაიტანა. აქვე შევნიშნავთ, რომ თუმც საშვიდკაცო თამაში ძველებურადვე 14 წუთს გრძელდება, რადგანაც ლელოს გარდასახვა უკვე არეკნითა ხდება, უწინდებურზე მეტი რამ ესწრება.

შაბათს „ოლ ბლექსმა“ ამავე სტილში გააგრძელა და 77:0 გააბითურა იაპონია. ფავორიტს არ ჩამორჩა ფიჯიც — 59:0 მოუგო ჰონკონგს. კანადამ სენსაცია გააგორა — 19:12 აჯობა სამხრეთ აფრიკას. ირლანდიამ ფრე 14:14 გაახერხა სამოასთან და მეორე ადგილოსნებში საუკეთესოც აღმოჩნდა. უელსი გაუძალიანდა ავსტრალიას და თუმც 19:21 წააგო, თასის მეოთხედფინალში მაინც გააღწია, სადაც კვირისთვის გუნდები ასე დაწყვილდნენ: ზელანდია — ირლანდია და ინგლისი — სამოა; ავსტრალია — კანადა და ფიჯი — უელსი.

შვიდკაცას მსოფლიო ჩემპიონმა ინგლისმა სამოას ხუთი ლელო გაუტანა და გააგდო; ირლანდია გაუმკლავდა ზელანდიას, მაგრამ დამარცხდა; მერე ზელანდიამ დაათქვა ინგლისი 42:19 და ფინალში შეება ფიჯის, ვისაც უელსი ერთი პირობა 12:7 უგებდა, მაგრამ მერე ორი ლელო გაუშვა.

ზელანდია — ფიჯის ფინალით „სუ-კუნ-პუუს“ სტადიონზე შეყრილმა 42 ათასმა კაცმა ძალიან ისიამოვნა. ისევე როგორც შარშან, ახლაც ზელანდიამ გაიმარჯვა 19:17 და ზედიზედ მესამედ მოიპოვა ავიაკომპანია „ქესეი ფესიფიქისა“ და ჰონკონგის-ბანკის შვიდკაცას თასი.

ბადრი მაცაბერიძე

## ოვალური კრიალოსანი

ზე-12-ის სერიალში ოქლენდის უქმობით ისარგებლეს ავსტრალიის გუნდებმა და დაწინარდნენ: კანბერამ 44:31 აჯობა სამხრეთი აფრიკის ნატალს, ქვინზლენდმა კი ამავე ქვეყნის ჩრდ. ტრანსვაალი დაამარცხა. მარცხი შეემთხვა მესამე ავსტრალიურ გუნდს — სიდნეის ახალ სამხრეთ უელსს, რომელიც ზელანდიაში 16:7 უგებდა მაჩანჩალა ქენთებრის, მაგრამ 16:21 წააგო. ცხრილის შუაში მყოფმა ველინგთონმა სტუმრად მოულოდნელად 44:15 აჯობა ერთ-ერთ ლიდერ ოთაგოს, ვაიქათომ კი აფრიკის დას. კონცხს ხუთი ლელო გაუტანა და 44:17 მოუგო.

დღესა და ხვალ სრული, VI ტურია. ლიდერობენ კანბერა (19 ქულა), ქვინზლენდი (18), ოქლენდი (17), ახალი სამხრეთი უელსი 16 და ოთაგო (15). ლომუს ოქლენდს ერთი თამაში მარაგში აქვს.

**შაბათს**, სამხრეთ აფრიკაში, ნელსონ მანდელას აფრიკელთა ეროვნული კონგრესი სპორტის ქვედანაყოფმა — სპორტის ეროვნულმა კონგრესმა ისმინა თავისილიდერის მოწოდება და რასიზმისა და აპარტჰეიდის სიმბოლოდ შერაცხული ქურციკი შეინარჩუნა ქვეყნის რაგბის ნაკრების სიმბოლოდ. თავის დროზე მანდელაც ცუდი თვალით უყურებდა თურმე ქურციკს, მაგრამ მას აქეთ, რაც მორაგბეთა მიერ მსოფლიო თასის მოგებამ მთელი ქვეყანა გააერთიანა, ცბიერმა პოლიტიკოსმა კარგად შეაფასა რაგბის პოტენციალი და იდეოლოგიური მნიშვნელობა და მსოფლიოს „ქურციკების“ უპირველეს ქომაგად მოევლინა.

**ავსტრალიაში**, მართალია, საბოლოოდ დასამარდა **ლიგის რაგბის** სუპერ-ლიგა, მაგრამ ევროპაში მაინც დაიწყო. პარასკევს, პარიზში, შარლეტის განახლებულ სტადიონზე საგანგებოდ ჩამოყალიბებული ერთადერთი ფრანგული გუნდი „პარი-სენ-ჟერმენი“ შეფილდის „არწივებს“ ეთამაშა და მატჩის ბოლოს გატანილი ორი ლელოთი 30:24 მოუგო. მატჩს 17 783 მაყურებელი დაესწრო, რაც ფრანგულ ლიგის რაგბს ბოლო 33 წელი იყო, არ ღირსებოდა. შაბათს საქმეში ჩაება ბობოლა „ვიგანიც“, ვინაც სტუმრად 56:16 დაანგრია ოლდემის „დათვები“.



# ორმაგი ფინალური ბლეფი



შტეფი გრაფი მოკეთდა, კორტს დაუბრუნდა და „ლიპტონის ჩემპიონატი“ სულ გრიალ-გრიალით მოიგო

რა კარგად დაწყებული შეჯიბრი ეს რა ულიმღამოდ დასრულდაო — დაიჩივლებდნენ მთელი მსოფლიოს ჩოგბურთის მოყვარულები, შაბათ-კვირის სიაფანდ ფინალებს რომ ნახავდნენ. აი, მანამდე კი ბარაქიანი ჩოგბურთი უხვად იყო კი-ბისკეინის (ფლორიდა, აშშ) „ლიპტონის ჩემპიონატზე“.

ხუთშაბათი, 28 მარტი ქალთა ნახევარფინალებისა და ვაჟთა ბოლო ორ მეოთხედფინალს დაეთმო. შტეფი გრაფს (1) ამჯერად ველარ გაუძალიანდა ნორჩი ლინდზი დავენპორტი (აშშ), ათი დღით ადრე გერმანელს ინდიან-ველზში ორი საათი და 47 წუთი რომ ერკინა. გრაფმა 66 წუთში გაიმარჯვა 6:4, 6:4, რის შემდეგაც ჩანდა რუბინმა (აშშ, 7) 4:6, 6:4, 6:2 აჯობა მსოფლიოს 91-ე ჩოგანს, განუთესელ კარინა ჰაბსუდოვას (სლოვაკეთი).

ვაჟთა მატჩებში მრავლად იყო ეისი. გორან ივანიშევიჩმა (ხორვატია) 12 გაახერხა და ისე დათრგუნა დისციპლინირებული მაიკლ ჩანგი (აშშ), რომ ბევრი შეცდომა დააშვებინა. გორანს არ ჩამორჩა პიტ სამპრასი (აშშ), განუთესელი თანამემამულე ვინს სპეიდიას რომ ეთამაშებოდა. ხორვატმა 6:4, 6:4 გაიმარჯვა, ამერიკელმა — 6:3, 6:4.

პარასკევს არ გაუბრწყინია ანდრე აგასის (აშშ), ისე, 6:4, 6:3 მოუგო ფრანგ არნო ბეჩს. მეორე ნახევარფინალში დრამა დატრიალდა. სამპრასმა დააყუმბარა ივანიშევიჩი, პირველი ხელი 26 წუთში მოუგო და მეორეშიც დაწინაურდა, მაგრამ აქ უეცრად გაწვიმდა და თამაშიც 47 წუთით შეფერხდა. ხორვატს ერთობ არგო პაუზამ: თამაში რომ განახლდა, თავად იძალა და 61 წუთში დაამთავრა მეორე ხელი, მესამეში კი მეშვიდე გეიმში გაახერხა ბრეიქი და მატჩიც 2:6, 6:4, 6:4 მოიგო. ასე ჩაიშალა ნანატრი, სამპრას — აგასის ფინალი.

შაბათს, ქალთა ფინალში, გრაფმა 6:1, 6:3 დაანგრია 20 წლის რუბინი, ვინაც შტეფისთან ეს უკვე მეოთხედ წააგო და ჟურნალისტებს კიდეც გამოუტყდა, გრაფი მჯობ[illegible] დღეს, მჯობდა გუშინ და გუშინწინაცო. გრ[illegible]ფმა პირველ ხელს 23 წუთი ამყოფინა, მეორეში კი რუბინს გარდატეხის შანსი მაშინ მიეცა, 1:3-ის მერე ბრეიქი რომ გაახერხა და ანგარიში გაათანაბრა. ეს იყო და ეს: ამერიკელი გოგო ისევ შეცდა და გრაფმაც მეხუთედ გაიმარჯვა კი-ბისკეინში. საგულისხმოა, რომ ამ თამაშში გრაფმა ოდენ 13 ბურთი ჩაუგდო მეტოქეს, რუბინმა — 18, შეცდომა კი ამერიკელს ბევრად მეტი მოუვიდა — 26 გრაფის 7-თან შედარებით.

დიდი ამბით ელოდნენ კვირის ფინალს. ივანიშევიჩმა წელს გააგდო მწვრთნელი ბრეთი, მის მაგივრად კი აიყვანა თანაკლასელი მარტიჩი, რომელსაც ჩოგბურთის არა გაეგება რა, მაგრამ ძმაკაცს მაგრად პატრონობს. გორანმაც წელს უკვე ოთხი ტურნირი მოიგო და 41 მატჩიც ითამაშა, მაშინ როცა შარშან სულ 70-ჯერ გავიდა კორტზე.

ფინალი სამი ხელის მოგებამდე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ 45 წუთით გვიან დაიწყო და სულ რაღაც ათი წუთს გასტანა. ბეჩავ გორანს ძილში კისერი გაშეშებოდა. აგასიმ მეტოქეს დიდსულოვნად აღროვა, ტკივილი რომ გაეყუჩებინათ, მაგრამ ხორვატი პირველსავე ხელში 0:3 რომ ჩამორჩა, შემდგომ თამაშზე უარი თქვა და მიკროფო[illegible]ნში საჯაროდ მოუბოდიშა დამსწრეებს.

ირაკლი ნინუა

# სპორტული ლატარიების მოყვარულთათვის!

1996 წლის 21 აპრილს ჩატარდება სპორტული ლატარიის „სპორტლოტო 5-36“ გათამაშების პირველი ტირაჟი.

ტირაჟები გაიმართება ორ კვირაში ერთხელ და გადაიცემა საქართველოს ტელევიზიით. ბილეთების დამუშავება და მოგებების გამოვლენა ხდება კომპუტერული სისტემით.

მოგების განაღდება წარმოებს ტირაჟის ჩატარებიდან 10 დღის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში. მოგება 10 ლარის ჩათვლით გაიცემა ადგილზე, ოფიციალური ცხრილის მიხედვით, საბანკო დაწესებულებებისა და ფონდის სარეალიზაციო ქსელის მიერ. 10 ლარზე მეტი მოგების განაღდება საქართველოს სპორტის ეროვნულ ფონდში ბილეთის წარდგენისა და სათანადო შემოწმების შემდეგ მოხდება.

მოთამაშე ავსებს ბილეთის „ა“ და „ბ“ ნაწილებს, აცალკევებს მათ და „ა“ ნაწილს ინახავს მოგების მისაღებად, ხოლო „ბ“ ნაწილს აბარებს ბილეთების სარეალიზაციო პუნქტებს დადგენილ ვადაში.

სარეალიზაციო პუნქტებში ბილეთების ჩაბარება წყდება:

-- თბილისში — ტირაჟის ჩატარებამდე სამი დღით ადრე, დღის 5 საათზე;

-- სხვა ქალაქებსა და რაიონებში — ოთხი დღით ადრე, დღის 5 საათზე.

ერთტირაჟიანი ბილეთის ღირებულება 50 თეთრია, ხუთტირაჟიანისა — 2.50 ლარი.

მოსაგები ფონდი შეადგენს ტირაჟზე დაშვებული ვარიანტების საერთო ღირებულების 50 პროცენტს. ხუთი ნომრის გამოუცნობლობისას ამ ჯგუფის საპრიზო ფონდი „ჯეკ-პოტის“ პრინციპით გადადის შემდეგი ტირაჟის ხუთი ნომრის საპრიზო ფონდში.





ტირაჟების ნომრები და ჩატარების თარიღები

| | |
|---|---|
| 1-ლი ტირაჟი | 21 აპრილი |
| მე-2 ტირაჟი | 5 მაისი |
| მე-3 ტირაჟი | 19 მაისი |
| მე-4 ტირაჟი | 2 ივნისი |
| მე-5 ტირაჟი | 16 ივნისი |
| მე-6 ტირაჟი | 30 ივნისი |
| მე-7 ტირაჟი | 14 ივლისი |
| მე-8 ტირაჟი | 28 ივლისი |
| მე-9 ტირაჟი | 11 აგვისტო |
| მე-10 ტირაჟი | 25 აგვისტო |
| მე-11 ტირაჟი | 8 სექტემბერი |
| მე-12 ტირაჟი | 22 სექტემბერი |
| მე-13 ტირაჟი | 6 ოქტომბერი |
| მე-14 ტირაჟი | 20 ოქტომბერი |
| მე-15 ტირაჟი | 3 ნოემბერი |
| მე-16 ტირაჟი | 17 ნოემბერი |
| მე-17 ტირაჟი | 1 დეკემბერი |
| მე-18 ტირაჟი | 15 დეკემბერი |
| მე-19 ტირაჟი | 29 დეკემბერი |

ბილეთების შეძენა და „ბ“ ნაწილების ჩაბარება შეგიძლიათ „სპორტლოტოს“ სარეალიზაციო ჯიხურებში და საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის საინფორმაციო და სარეალიზაციო ცენტრებში:

-- ჟ. შარტავას (ყოფილი ანაგის) № 40, ტელ: 38-90-74, 36-48-21

-- რ. აგლაძის (ყოფილი ელიავას) № 26, ტელ: 34-51-72

გიწვევთ პოპულარული ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად.

გისურვებთ წარმატებასა და თქვენი წვლილის შეტანას ეროვნული სპორტის აღორძინებაში!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29


ეროვნული ბიბლიოთეკა